

ბავრატ ბადიდი

თვალი დაადგეს ზოგ-ზოგებმა მაჩაბლის 13-ს და იქ მწერლები რიგრიგობით ათევენენ ლამეს...

ლამეს უთევენენ იმ შენობას ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატნი, ქომაგები, მაგრამ პატრული გამთენიისას თავს დაესხა მწერალთა კავშირს... რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი გაყარეს კარში.

კონსტანტინე გამსახურდიას უნიკალური სავარძელი... გალაკტიონ ტაბიძის პირადი ნივთები... სანახაობა მართლაც იყო გულის შემძვრელი და დაჰყურებდათ ბადრი მთავრე მათ გაფითრებით.

ვის დაკარგვია, მაგრამ გვყავდა ეკონომიკის მინისტრი, გვარად არველაძე, რეგენი, შტერი, უცოდინარი, უნიგნური, მწერლობის მტერი... მწერალთა კავშირს მან მოუწყო ბინძური ხრიკი!

„მწერალთა კავშირი“ არ გვექონია რუსთაველის დროს, მაგრამ დანერგა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“... ეს თქვა იმ კაცმა და ასეთ კაცს უნდა ვერიდოთ, ის კი მინისტრის სავარძელში იჯდა ხბოსავით.

„მწერალთა კავშირს“ ჩამოართვეს მისი შენობა, გადასცეს იგი „მწერალთა სახლს“ და ფაქტიურად შესრულდა კარგად დაგეგმილი ავანტიურა... დღემდე გრძელდება ეს სიგლახე, ეს ჩუქუნობა.

მაჩაბლის 13-ს მიამაგრეს ახალი აბრა, გაუგებრობა, გამოცანა, აბრაკადაბრა... „მწერალთა სახლი“ დაანერგეს ლამაზ აბრაზე და ეს ამბავი ქართველ მწერლებს დღემდე აბრაზებთ.

„გატარებული არ გქონიათ რევიტრში სახლი, ამიტომ უნდა ჩამოგართვათ“, - იყო პასუხი. როცა მთავრობა ასეთ რამეს პირში მოგახლის, ისეთ მთავრობას ქვეყნის ბედი არაფრად უღირს.

და უნებლიეთ გამახსენდა დიდი აკაკის ერთი ცნობილი იგავ-არაკი: „მგელი და კრავი“, არა, არ არის ეს საკითხი ხელწამოსაკრავი.

„დაგორღვევით ყველა ვადა პრივატიზების, სწორედ ამიტომ, ამის გამო და ამ მიზეზით ჩამოგართვით, ასე გვითხრეს, - თქვენ ეს სასახლე“. გვითხრეს ასე და შენობიდან გამოგვასახლეს...

კავშირის წევრებს ასწლიანი შენობა მათი დაათმობინეს და ამათაც რა ექნათ, დათმეს. ქუჩაში გაყარა რაღა იყო... ახალი ფართი ჯობდა „მწერალთა სახლისათვის“ მიეცათ სადმე!

მწერალთა კავშირს ეკუთვნოდა მაჩაბლის თერთმეტ ნომერში კიდევ ერთი სახლი ანუ სასახლე... მაგრამ მწერლები იქიდანაც, რომ გაასახლეს? დანაშაული დამნაშავეს არ უნდა შერჩეს.

ბარემ ესეც ვთქვათ, რომ მწერალთა კავშირს მეორე დიდი სასახლე მისცა ზვიად გამსახურდიამ. მიშამ ორივე ჩამოართვა! ეს კი ცუდია. კარგს და ცუდს შორის განსხვავება ეს არის სწორედ.

სიბ ნიადაგზე არაფერი არ აიგება... რაც არ იკადრეს სისხლიანმა ბოლშევიკებმა, ის გააკეთა გუშინდელმა ჩვენმა მთავრობამ... ეს იყო მისი ძალადობა ანუ მძლავრობა.

„ალტერნატიულ შენობაზე“ აქ ლაპარაკი არც შეიძლება... გამოგვიყვეს ძველი ბარაკი...

რეპრესირებული მწერალთა იაქშირი

იონიკოპუალური ქრონიკა

იქვე ცხოვრობენ ლტოლვილები, იმ შენობაში და რა დღეც ადგათ დევნილ მწერლებს, მიხვდება ბავშვიც.

იმედის თვლით შევეყურებდით „ქართულ ოცნებას“... კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა... ო, საოცრება! ხელისუფლებამ არც აცხელა და არც აცია და დაამყარა ქოცნაცური კოპაბიტაცია!

როცა გყავს რევაზ მიშველაძე, დიდი რევაზი და გააძევეს სასახლიდან ასეთ ბუმბერაზს, მაშინ ხომ შენთან დავა-კამათს არა აქვს აზრი, ხელისუფლო, აი, მაშინ მართლა უბერავ!

ხელისუფლება ქართველ მწერლებს გადაემტერა, მოხდა შენობის ტოტალური ოკუპაცია და სასახლო, ასწლოვანი კულტურის კერა ლიბერასტების ბუდედ აქცია.

ებრძვიან ქართულ მენტალიტეტს და რელიგიას. ფალოსს, სარცხვინელს, უსირცხვილოდ უძღვნიან ოდას და ეს ყოფილა მათი აზრით, სიხლე („მოდა“), ასეთი რამე რატომ ხდება, ვერ გამოგია.

მწერალთა კავშირს შეუტყის: „დრო მოჰამაო“, თუმცა ამ ხალხის ფახი-ფუხი არის ამაო, გაიჯეჯილეს უხერხემლო ლიბერალებმა... შუბი ტოპრაკში, რა თქმა უნდა, არ იმალება.

გახდა სიჩუმე უსარგებლო, ძნელასატანი (როგორც ჩანს, გველიან სულელებად ანდა გიჟებად). არ გინდათ ჩვენთან? ვინ ოხერი გეპატიუებათ, გახსენით თქვენთვის სადმე კლუბი, „კაფე-შანტანი“.

ხელისუფლების „ლოიალობა“ ეს არის შირმა... „მხატვართა კავშირი“, „კომპოზიტორთა კავშირი“ დღემდე რომ არსებობს, კედელს ნახშირი! რა დააშავა „მწერალთა კავშირმა“?

ხელში უჭრავთ „ლიბერალებს“ ყველა სადავე... ამის გამოა, უიმედოდ რომ გავირიყეთ! სანამდე გასტანს, კატლინავ, შენი სიბრიყვე, სანამდე მართავთ ამ ქვეყანას ასე, სანამდე!

ნატრობდა ნიკო ფიროსმანი, მკითხველო ჩემო, სადმე ფანჩატურს მხატვრებისთვის, ჩაის, სამოვარს... მაგრამ მწერლებსაც ხომ სჭირდებათ მყუდრო გარემო, ამის გარეშე არაფერი აღარ გამოვა.

გააჩნდათ მწერლებს ამ სასახლის ეზოში ბაღი (იტყვიან ხოლმე: „დაკარგულზე წუნუნი არ ღირს“), სამუსაიფოდ შედიოდნენ მწერლები ბაღში, როცა სასახლე ეკუთვნოდა მწერალთა კავშირს.

დაგმანულია დღეს კარები „მწერალთა სახლის“ ვთქვათ და მოუნდა დასვენება იმ ბაღში, დალილ მწერალს, მან უნდა ზარი მისცეს დარაჯს, კარისკაცს... უთხრას თავისი ვინაობა და თუ გარისკავს,

ბაღში შეშვება უნდა თხოვოს... ატუ ზულს კართან, დარაჯი არცკი გამოხედავს, „დომოფონს“ ჩართავს და „უცხო სტუმარს“, სხვათა შორის, ცივი ხმით ჰკითხავს: „გისმენთ, ბატონო, რა გნებავთ, ვინ ხართ?...“

... ამ ჩვენს მენჯერს (მისი სიტყვა აქ ფასობს ძვირად) მოუთხოვია მწერლებისგან „დარბაზის ქირა“. „თმებით დავითრევე იმ გომბოს“, - ასე თქვა რეზო ამაშუკელმა (ამბობს რამეს ის უმიზეზოდ?)

დაფინანსება შეუწყვიტეს მწერალთა კავშირს, ასეთი რამე მართლა მოხდა ჩვენს ქვეყანაში! მოდი თვეხედოთ ჩვენს მეზობლებს: ბაქოს, ერევანს,

მწერალთა კავშირს იქ არავინ არ დაერევა! სულაც პირიქით: დაუფასდათ მწერლებს ამაგი, კავშირის წევრებს იქ უხდიან მაღალ ჯამაგირს.

ჩვენო მთავრობავ, ზოგჯერ ცივი წყალი დალიეთ... ვერ შეეძრებით ვერასოდეს ილჰამ ალიევს!

ნახეთ, რასა წერს, რას გვაუწყებს ბაქოს მედია: მწერალს ბაქოში, თუ ის არის კავშირის წევრი, მაგრამ არ არის სამოცი წლის, მას სტიპენდია თვეში ოთხასი დოლარი აქვს (არ არის ბევრი?) და თუ სამოც წელს გადაცდება, რვაასი თვეში! ბაქოში ხდება ეს ამბავი, რა ხდება ჩვენში?

ექვემდებარება აღდგენა-განახლებას ის, რაც არის დარღვეული და დაშლილი, მაგრამ რატომღაც არავის ენაღვლება რეპრესირებული მწერალთა კავშირი.

II
გავრცელდა ცნობა: უქმდება „მწერალთა სახლი“ და მის ადგილზე იხსნება „კულტურის ფონდი“ და აფუცხუნდა სასათბურე ჩვენი ბომონდი, რატომაც არა, გაშლილი აქვთ, ბატონო, დახლი...

...ამას მოჰყვება დიდი სკანდალი, თანაც ევროპაში... ველარ ეტევიან საკუთარ კანში (სად შეიკრიბა ამდენი ვანდალი?).

უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ქონება, ამას აცხადებენ „მწერალთა სახლის“ ბინადრები. მე კი სხვა რამეს ვინატრებდი: ღმერთმა დაუბრუნოს ამ ხალხს დაკარგული გონება.

არც კი ახსენებენ მწერალთა კავშირს, ასეთი რამ არც მოუვით თავში.

სიმართლე გნებავთ? ის შენობა დღემდე ქებული, „მწერალთა სახლის“ მიერ არის ოკუპირებული.

„მწერალთა სახლს“ არა აქვს საქმე საქებად, მაჩაბლის 13-ში მათ არაფერი არ ესაქმებათ.

„მწერალთა სახლმა“ მითვისა სხვისი საკუთრება და მისი „დაბრუნება“ მათ არა აქვთ არავითარი უფლება.

„მწერალთა სახლის“ მხარდაჭერა როგორ იკადრეს? ალბათ შეცდომა მოუვიდათ ჩვენს ძვირფას მხატვრებს.

ერთი და იგივე ჰგონებიათ „მწერალთა სახლი“ და „მწერალთა კავშირი“ – დარბეული და ლამის არის დაშლილი...

თქვენ რომ ვილაცამ გაგაძეკოთ... „მხატვართა კავშირს“ დაეპატრონოს სულ სხვა ძალა და სულ სხვა ხალხი, მერე აბრაზე მიგინერონ: „მხატვართა სახლი“, მოგეწონებათ ასეთი რამ? რას იტყვით მაშინ?

და როგორ უნდა მოეწონოს ეს ადამიანს? მთლად ჭურში ზიხართ? დაეკითხეთ რეზო ადამიანს, მხატვარიც არის და მწერალიც, სუფთა კაცია, თქვენ კი მხარს უჭერთ მწერალთა კავშირის ოკუპაციას!

ჩვენო მხატვრებო, გონზე მოდით, მართლა და მართლა ნუთუ ამდენის გააზრების არა გაქვთ თავი? თქვენ ვისაც იცავთ, მეგობრებო, სწორედ იმათგან, იმათგან არის მწერალთა კავშირი დასაცავი!



დავით ზეიკიძე

მილოცვა

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის რედაქცია, მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად, ვულოცავთ ცნობილ მწერალს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს დავით ზეიკიძეს დაბადების 75 წლისთავის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასთან ერთად ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ჭკუათხალვა

(სალალობო მეგობრებს)

ზოგი, მგონია, სიმწრით ხითხითებს, ზოგი ირონიას სახეზე გატყობთ. რა დროს ლექსია, გაგიჟებულა, ჩუმად დამცინით ზურგს უკან ამბობთ...

მეც გეთანხმებით, თქვენ მართლეს ხართ, თუმცა ლექსია სულისთვის საზრდო.

გალიზიანებთ, პოეტის სიბრძნე, ვერ გუობთ ნიჭს და სიმწრისგან ბრაზობთ...

შურიანებო, განა არ ვიცი, დიდი ხანია, ბოლმა რომ გახრჩობთ. ბრალი ნამდვილად მე არ მიმიძღვის, თავად ჭკუასთან არა ხართ ახლოს.

შეჯიჯრით კომპა

ფიქრებით დამძიმებული აღმართს ავეყვით მთაზედა, ავედით, შვება ვიგრძენით, ნმიდა ადგილას, ჯვარზედა.

შევეყურებთ გაცეცხულნი, ცრემლი მოგვადგა თვალზედა, სალ კლდეზე ნაგებ სიმძიმემ როგორ გაუძლოს ამდენ ხანს?!

ეტყობა, აღარ დგვჭირდა ნაიარევის გარკვევა, ენა, მამული და რწმენა, როგორ დაიცვას ქართველმა?!

სამლოცველოში შევედით აღსარებისთვის სათქმელად მოვინანიეთ ცოდვები, წმინდანებს ვუნთებთ სანთლებსა.

ზნეამაღლებულთ მოგვინდა, გადმოგვეხედა მტკვარზედა, გავოცდით, თვალს ვერ ვუსწორებთ არნახულ სილამაზესა!

ისეთი გრძნობა გაგვიჩნდა ერთ ვერ აღვწერთ, რას ვხედავთ, მცხეთა, ძირძველი სამშობლოს სულიერ აკვანს არწევდა!

მტკვრის და არაგვის სართავთან მიმდინარეობს ნათლობა, მოძღვარი ჩვილ ბავშვს კურთხევით მარად სინმინდეს აცხებდა.

უმალ დადუმდა გარემო სვეტიცხოველის ზარზედა, მზე შეიმალა ღრუბლებში, ნისლი ჩამონვა ჯვარზედა.

ქუდზე კაცს გიხმობთ, ქართველნო, მტერი მოგვადგა კარზედა, გაერთიანდით, თუ გინდათ დროზე მოგხედოთ განგებამ.

ერთად შესძახეთ, ქართველნო, „შავლეგო“ მტრის ჯინაზედა, მერე მიხედეთ დამპყრობელს, ცეცხლი დაუნთეთ თავზედა.

წინაპრის სული გვამცნობდა, შენუხებული ძალზედა, - გოჯ მინას ნურვის დავუთმობთ ძმობა შეჰფიცეთ ჯვარზედა.

ღმერთი დიღია

ნორჩმა მშვენივამ უცნაურ გრძნობით, მოულოდნელად გამითბო გული. ფერმა გადამკრა, სიმშვიდე გაქრა, პირველად გავხდი შეყვარებული.

ფიქრისგან დარდი აღარ მასვენებს, სიყვარულისგან სული ამაღლდა, დაუფიქრებლად, სიცოცხლის ნაცვლად, მერჩინა სატრფოს ერთხელ დანახვა.

რა არ ვილონე, მაინც ვერ ავცდი, ტრფობის ცრემლების უზომოდ დაღვრას შექსპირზე უკეთ მაინც ვერ შევქელ, დიდ გრძნობის კალმით სატრფოსთვის ახსნა.

მაგრამ რას ვიზამ, სინამდვილეა ნიჭი და სიბრძნე ღმერთმა მას არგო, მე კიდე დავრჩი ბავშვურ გრძნობების მოგონებებთან პირისპირ მარტო.

არ დაგიმაღავთ, დიდხანს ვიტანჯე, სურვილი, ნატვრა არ მინდა დავთმო, ბოლოს ძლივს მივხვდი - ოცნების ქალღმერთს უნდა მოექცე ფრთხილად და სათნოდ.

ნაადრევე დასკვნებს ნუ გამოიტანთ, ეს გრძნობა ვისაც ჯერ არ გიგრძნიათ, დადგება დრო და დამეთანხმებით პირველი გრძნობა ღმერთზე დიღია.

ნუ დაკარგავ!

ნუ დაკარგავ ძმასა შენსა, წესად გქონდათ აფხაზებსა, ახლა რაღა დაგემართათ?! წყალს წისქვილზე უსხამთ მტრებსა.

დაამსხვრეთ გული მთელი, მშობელს ადენთ მწარედ ცრემლსა, ღვიძლ შვილებში არ გარჩევდათ, რაღას ერჩით ქართველ ერსა?!

ნუთუ დღემდის ვერ მიმხვდარხართ, გასაყოფი რა გვაქვს ძმებსა! აღვადგინოთ ძველებურად ერთმანეთში ნდობა, რწმენა.

ეშმაკს ზურგი შევექციოთ, პატიება ვთხოვოთ ღმერთსა, გულწრფელობა გადაარჩენს მშობლის მადლის დამნახველსა.

მჯერა

რა დავმართათ ადამიანებს?! რა ლაბირინთით იარეს დღემდის?! ანგელოზებად ქმნილ ადამს, ევას, როცა ზურგს აქცევს მაღალი ღმერთი.

მთელი ცხოვრება ტანჯვა-წამებით გამოიარეს მათ ჯოჯოხეთი, ბოლომდის მაინც ვერ გაუგიათ, რას ემართლება, რას ერჩის ღმერთი?!

მიზეზი ამის ნამდვილად იყო, სიტყვა საქმისგან როცა გაიყო, განრისხებულმა მონყალე მამამ სიტყვის გამტეხი აღარ დაინდო.

დრო მკურნალია ყველა ტკივილის, ეტყობა, მასაც გული მოუღობო, გადასარჩენად ძე მოუვლინა, რწმენისკენ უხმობს სამყაროს უნდოს...

გამოჩნდა მხსნელი, მანათობელი, კაცობრიობის ბნელეთის გზისა, მოშურნეებმა მესიის მოსვლა, არა სცნეს, დაგმეს, დაუნყეს კიცხვა...

კარგად იცოდა იუდას განთქმით დაატყდებოდა უგნურთა რისხვა, არ უარყვია მისია ღვთის ძეს მტკიცედ პასუხობს პილატეს კითხვას...

მბრძანებლის გული ბოლმით აღვსილი, იესოს ჯვარცმით ვერ აღწევს მიზანს; ქრისტემ წამებით ცოდვა იტვირთა მკვდრეთით აღდგომით სამყარო იხსნა.

დაუპატიჟებელი სტუმარი

- სტუმარ, ღვთისაა, მობრძანდით, - არწივმა უთხრა ყვაესაო, - ყანწი შეუვსეთ, მიირთვით, ვიცი არ იზამს ავსაო.

შეუსვენებლად დალია, სუფრას გახედა ღიმილით, ყვავის ზიზლითა ჩხიკვებმა ატეხეს ჟივილ-ხივილი.

არ შეიმჩნია წყეულმა, ილხენს, აცეკვებს პატარძალს, დროს ელოდება ხელსაყრელს, ცუდი ზრახვა აქვს მამაძალს...

ეს ნუთიც დადგა, დედოფალს ხელი დასტაცა მსახვრალი. მელიაც თურმე მხარს უჭერს, შიშით ყველაა დამფრთხალი...

მაგრამ არწივი ფხიზლად დგას, იგრძნო მომხვედურთა ზრახვანი, ჩხიკვთა ქორწილის ჩამშლელებს დააყრევინა ფარ-ხმალი...

ყვავი სასტიკად დასაჯა, ზედვე დააკლა მელიაც, თავად ქორწილი განაგრძო, დიდ გმირებს ასე სჩვევიათ...

ზოგისთვის ეს იგავია, ზოგისთვის კიდეც ზღაპარი, ვაჟას დიდ სიბრძნეს ვესესხე, კვლავ ელავს მისი ლამპარი.

რადგან მას კარგად ესმოდა მტერს მტრობა უნდა ამგვარი...

თუკი აპირჩვი

მგონი შეგნებით მიმდინარეობს, ქართველის სულის დამახინჯება ძალიან მიკვირს, რატომ არ გვინდა, გამოსავალის, ხალხო, მიგნება.

როცა ვიხსენებ, რაც დაგვემართა, გული დარდით და ბოლმით ივსება, ქართველი ერი არ იმსახურებს, ეშმაკის მოდგმამ ხელყოს ღირსება.

საით მივდივართ, ვერ გავგიგია, თითქოს გზა წმინდას შეგნებით ავცდით, აღარ გვანუხებს მომავლის ბედი, ქარს გავატანეთ, რაც გვექონდა კარგი.


გამოიღვიძე, ქართველო ერო, ჩვენ ხომ არა ვართ არავის ვალში, დავიკაპინოთ ყველამ ხელები წინაპრებით დავუდგეთ მხარში.

გადავარჩინოთ ადათი-წესი, სინდის-ნამუსი რომ გვექონდეს ჭარბი, მაშინ აღდგება უფალის რწმენა, აღარ გვექნება არაფრის დარდი.

თუკი ავირჩევთ ჩვენ ისეთ ბრძენ კაცს, გულთან მიიტანს ერის ერის ხმის ძახილს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საზღვრებს აღვადგენთ არ ვიხმართ მახვილს.

მარადისობა

ხანმოკლეობის არ მეშინია, ვიცი, სიკვდილი ვერას დამაკლებს, პატიოსანი ცხოვრების წესი ადამიანებს ღმერთთან ამაღლებს... მესხიერების გავუღე კარი, მიზეზი, ძმებო, იცით, რაშია? ცხოვრება სიბრძნის წიგნად ვაქციე, ჟამთა ცვლით სახელს ვედარ წაშლიან.



რევაზ მიშველაძე - 80

80 წლისა შესრულდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, საქართველოს სახალხო მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რევაზ ავქსენტის ძე მიშველაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო რევაზ!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან XXI საუკუნის ქართული მწერლობის უთვალსაზიროვნო წარმომადგენელს, ჩვენი ქრისტესავით ჯვარცმული სამწერლო ორგანიზაციის ლიდერს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების მე-80 წლისთავს.

მთელი თქვენი ცხოვრებისეული გზა მშობელი ქვეყნის მსახურების ერთი მშვენიერი მაგალითია, თქვენი შემოქმედება სრულიად გამოხატავს მშობელი ერის ფიქრებსა და მისწრაფებებს, ეხმიანება რა დენთის კასრს დამგვანებულ ჩვენ მშფოთვარე ეპოქას.

თქვენი მწერლური ნათლობა 1959 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ პირველი ნოველები გამოაქვეყნეთ. მას მერე თქვენი, ჭეშმარიტად მწერლური ნიჭიერებით გაცისკროვნებული ნაწარმოებები სისტემატიურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე ნიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ნოველის დიდოსტატი ბრძანდებით. თქვენს ნოველებში თანამედროვე საქართველოს მოზაიკური პანოა გადაშლილი, რომლებშიც დაკვირვებული თვალი და ყური ადვილად შეამჩნევს ბენვის ხიდზე მავალი პატარა ქვეყნის მაჯის-ცემას, ქვეყნისა, რომელსაც გარშემო აფთრებად ქცეული სამეზობლო ახვევია და მხოლოდ მის ერთ ნაბოროძიკებას ელოდება. თქვენი შემოქმედების უმთავრეს დანიშნულებას მშობელი ერის გამოფხიზლება წარმოადგენს და კიდევ იმის მუდმივი შესხენება, რომ დავით აღმაშენებლისა თუ გიორგი ბრწყინვალეს შთამომავლებს მოდუნებისა და დაძაბუნების უფლება არა გვაქვს, თუკი

გვსურს საუკუნეების მიღმაც ამაყად ფრიალებდნენ ქართული ბაირალები. ამიტომაცაა, რომ ყოველთვის ინტერესით ველით ხოლმე თქვენი პროზაული კრებულების გამოცემას, რადგანაც მათში დასმული პრობლემატიკა აქტუალური და საჭირობოტოა. თქვენს რომანს („ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, „ციყვი ბორბალში“, „ნამება“, „ქრისტე“) და ნოველებს გამორჩეული იუმორი და ირონია გასდევს ნათელ ზოლად, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს თქვენთვის თვითმიზანს არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, მათ მიღმა ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე დრამატული ცხოვრება ბორგავს...

თუ რამ გამოარჩევს თქვენს პროზას სხვათაგან, ეს უპირველესად მძაფრი კრიტიციზმი, პოლემიკური პათოსი, მდიდარი ფანტაზია და ლაკონურობა გახლავთ.

ლიტერატურის ისტორია გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში თქვენ ჟანრულად სრულყოფილ და საბოლოოდ დამაკვიდრეთ ნოველა. ამ თანმიმდევრულმა მწერლურმა რუდუნებამ განაპირობა თქვენი უაღრესი პოპულარობა. ასპარეზზე გამოსვლისთანავე ლიტერატურათმცოდნეების მხედველობის არეში მოექცით. თქვენს შემოქმედებაზე დაწერილია ნიგნები და დაცულია დისერტაციები.

ახალგაზრდა მწერლების ქომაგი და დამფრთიანებელი ბრძანდებით. ნიდაგ ზრუნავთ მათი ლიტერატურული დაოსტატებისათვის. ახალგაზრდების რიგებიდან განსაკუთრებით ნიჭიერებს გამოარჩევთ ხოლმე და უშურველად იღებთ მწერალთა კავშირის წევრად.

თქვენ შესძელით სააკაშვილის მძვინვარების უმძიმეს წლებში თანამოაზრეებთან ერთად შეგენარჩუნებინათ და ფეხზე დაგეყენებინათ საქართველოს მწერალთა კავშირი. დღესაც თვალმოუხუჭავად ებრძვით ხელისუფლებაში მოკალათებულ გულქვა ჩინოვნიკებს, რათა მწერლებს კუთვნილი სასახლე დაუბრუნოთ.

ობიექტურობის და პრინციპულობის მაგალითი ხართ და არა მარტო მწერლებისათვის. არცერთი ხელისუფლების მუხობე არ ყოფილხართ. მუდამ ზომიერი ოპოზიციონერი ბრძანდებით, მაგრამ საქართველოს გამყიდველთა მიმართ შეურიგებლობით გამოირჩევით.

ამავე დროს საოცრად მღმობელი და მიმტევებელი ხართ გზასაცდენილთა და ლიტერატურულ „ძე შეცდომილთა“ მიმართ, რომ იტყვიან, წყენა კარებამდე არ მიგყვებათ. მეაუგეებს აუგიოთვე არ პასუხობთ. კარგად იცით, რომ სკეპტიკოსთა ყველაზე კარგი პასუხი პროფესიონალიზმი და კარგი ნაწარმოების შექმნაა.

სწორედ თქვენმა მაღალნიჭიერებამ განაპირობა, რომ თქვენი პროზის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია მსოფლიო ხალხთა ენებზე, მათ შორის, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, იაპონურად, ესპანურად, რუსულად, უკრაინულად, ბულგარულად, ვიეტნამურად, სომხურად, აზერბაი-

ჯანულად, ივრითზე...

თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებულები „კრიტიკა“, „კრიტიკული მონოლოგები“, „შენ ჩემთვის რა გატირებდა?“, „სიტყვა და საქმე“, „მწერალი და ავი საუკუნე“ თანამედროვე კრიტიკული აზროვნების მიღწევათა რიგს განეკუთვნება.

ქართული თეატრების სცენაზე წარმატებით იდგმებოდა თქვენი პიესები „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“, „უფანდუროდ ნამღერი“, „ასი წლის კაცის აღსარება“, „არ დამივიწყო“. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ღვანლი, რომელიც ქართული პანტომიმის წინსვლას დასდეთ. ამ თეატრში დადგომლმა თქვენმა პიესებმა („ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“, „ქრისტე“, „ვეფხისტყაოსანი“) მნიშვნელოვნად განსაზღვრა პანტომიმის თეატრის სახე.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ თქვენი კინოსცენარების მიხედვით გადაიღეს მხატვრული ფილმები „ასეც ხდება“, „მსაჯი“ და სხვა.

საყურადღებოა თქვენი პუბლიცისტური წერილების კრებულები „რომ უკეთესი ვიყო“, „რა გადაარჩენს საქართველოს“, „კულტურა, პოლიტიკა“...

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობა. 1966 წელს მონოგრაფიისათვის „1905-1907 წლების სატირული ჟურნალები“ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ნოდება მოგენიჭათ, ხოლო ფუნდამენტური გამოკვლევისათვის „თანამედროვე ქართული პოემა“ - დოქტორისა (1973 წ.). თქვენი მონოგრაფიები „სატირული ჟურნალისტიკა“, „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“, „თანამედროვე მწერლობის აქტუალური პრობლემები“, „ქართული ფენომენი“, „კულტურა და თანამედროვეობა“, „კულტუროლოგია“, „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები“ თანამედროვე ქართული სამეცნიერო აზროვნების დონეს პასუხობს. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით თსუ უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრას. იყავით არაერთი სამეცნიერო საბჭოს წევრი. თქვენი ხელმძღვანელობით. არაერთი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია იქნა დაცული.

დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით.

არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ თავმჯდომარედ, ქართული ფენომენის აკადემიის პრეზიდენტად, ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საზოგადოების პრეზიდენტად, საზოგადოება „თვისტომის“ პრეზიდენტად, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალატის თავმჯდომარედ. იყავით ჟურნალების „პირველი სხივის“, „კრიტიკის“, „ნუგუმის“ მთავარი რედაქტორი. დამაარსებელი და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ხართ „მწერლის

გაზეთისა“. არაერთი წელია, რაც საქართველოს მწერალთა კავშირს უდგახართ სათავეში და ცდილობთ უსასოყოფა შეუმსუბუქოთ უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილ ქართველ მწერლებს.

მთავარი ის არის, რომ მწერლობისადმი მავანთა გაგულგრილებისა და საინფორმაციო საშუალებების მხრიდან სიტყვის ოსტატთა დანაშაულებრივი იგნორირების ვითარებაში თქვენის მწერალი ბრძანდებით, რომელიც სიტყვითა და საქმით ამტკიცებს, რომ სწორედ ჭეშმარიტი მწერალია ერის გონიერი მრჩეველი და მეზაირახტრე, რომ საზოგადოებამ ნაჯექ-უკუჯექა პოლიტიკანს კი არა, მწერალს უნდა დაუდოს ყური.

თქვენი გარჯა, ღვანლი და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ნიკო ლორთქიფანიძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, მემედ აბაშიძის, პუშკინის სახელობის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, გამომცემლობა „მესხეთის“, ჟურნალ „დროშის“ (ისრაელი) პრემიები. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის, ავეტიკ ისაკიანის, ბორის გაპონოვის მედლებით. „ქართული კულტურის ამგდარის“ მედლით... არჩეული ხართ გორისის (სომხეთი) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. მონიჭებული გაქვთ სახალხო მწერლის, ქართული პროზის რაინდის და ქართული კულტურის ქურუმის საპატიო ნოდება. არჩეული ხართ საჩხერის, იყალთოს, ქუთაისის საპატიო მოქალაქედ.

არაერთხელ გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ უყოყმანოდ დათმობდით ყველა იმ რეგალიას, ოღონდ თქვენი ვაჟიშვილი, საქართველოს შეწირული ვაჟკაცი არჩილი ახლა თქვენს გვერდით ყოფილიყო...

ბატონო რევაზ!

ბოლო წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა თქვენი ნაწერების ოცდახუთმეულის გამოცემა, რომელმაც თქვენი მრავალწლიანი შემოქმედების ერთი ნაწილი დაიბეჭდა.

ჯერ არ დაღლილხართ და არ დამცხრალხართ. ამჟამად, გარდა მწერალთა კავშირის თავკაცობისა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კულტუროლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობთ და ჟურნალ „პარალელს“ რედაქტორობთ.

გვეამაყება, რომ ახლახან თქვენი გახმაურებული რომანი „ციყვი ბორბალში“ ნობელის პრემიაზე იქნა წარდგენილი.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჭეშმარიტ შემოქმედს, რომელსაც ჩვენს სინამდვილეში ანალოგი არ მოეძებნება. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი



დავით ახლოური

* * *
მკათათვე იყო,
შელამებამ
ქუჩას მიმაბა,

სკამზე ჩამოჯდა...
გაინაზა...
მზერა მინაბა...

მერე სიგარეტს
მოუკიდა,
მთვარეს გახედა,

უცხო მდედრისკენ
გაინია
გულმა თავხედმა

მკათათვე იყო...

* * *
აიშლებიან
სულში ფიქრები,
წყალი წაიღებს

მოვა ზამთარი
ისევ კენტი და
ისევ შეხვედრის

* * *
შევხვდით...
ველარ მიცნო თითქოს...
წყენით მარიდებდა

ვდარდობ...
მენანება...
ვწუხვარ
სხვაგან დაღამებულ მდედრს,

* * *
არავინ იცის,
თუ რა ადარდებს
აი, იმ ღრუბელს,

მე რა ვუთხარი
სიკვდილის
მომგონს,

* * *
სულ სხვა რამ იყო
ჩვენი ბავშვობა,
პურის ნატეხზე

გახსოვს? - ზამთარი
თოვლივით თეთრი,
ფეხით მოვლილი

მერე გავიდა დრო და
დავშორდით...
სხვას ვაბარებდი

მაგრამ მარტო შენ,
ანდაც მარტო მე
მესმოდა მაშინ

* * *
მე რომ ვყოფილიყავ შენი ტოლი,
შენც რომ სიყვარული გდომებოდა,

შენთან სითამამის მომატება,
მერე დავინწყება სველი თოვლის...

* * *
მიყვარხარ...
მიყვარხარ -
გეტყოდი ათასჯერ,

ალარ ღირს, მიძახონ - არ ხამსო,
ვინც გიყვარს,
ნუ სდევო ღრუბლებთან

* * *
თუ კაცი სულით
მგელი არა ხარ,
თუ ვერ შეგყარეს

წესი წესია,
მზე რომ გამწირავს,
ხატს შემოსავენ

ჩემს მერე,
როცა ქსანზე ჩაივლი,
როცა გადიფრენს

* * *
შეხმიანება ჩემი მინა-წყლის
ოკუპანტთან

შემოგიკედლე,
შეგიფარე,
მაგრამ სამართლით

ჩემი ცხინვალი,
ჩემი გაგრა,
ჩემი იკოთი,

„მორწმუნეც“ ხომ ხარ,
რა ძალა აქვთ
უგუნურ კაცთა,

როგორ იქნება -
სხვისი მინა
დაისაკუთრო,

არც ღმერთი და
არც ეს საწუთრო...
ისევ გვერდით მყავს
წმინდა ნინო,

* * *
არ მდომებია
ყოფნა ვენაში,
არ მიძებნია
ბინა ოსლოში...

მინდა, რომ ყველა -
მოკეთე, მოძმე,
ჩემმა დაკრძალვამ

* * *
წერილი მეგობარს
რას შვრები ძმაო,
როგორ ცხოვრობ

ლექსი ხომ გიყვარს,
ვინახულებთ
მერე ვარიანს...

ვიხუმრე ძმაო,
მთავარია
ჩვენი სინდისი...

ჩამო ძმობილო,
გავისხენოთ
ჩვენი ბიჭები,

* * *
ალბათ გეტყოდნენ -
უშენობას
ვერაფრით ვუვლი...

მოდი, ამ მთვარეს
ნუ წავართმევთ
ამოსვლის სურვილს,

მარტო სცენა კი არა მთელი პარტერი მავთულხლართებითაა გაყოფილი.

მაყურებელი გრძობს და ხედავს, რომ აქაც, თეატრშიც შემოუღწევია თანამედროვეობის ყველაზე სავალალო სენს - ოკუპანტების მიერ შუაზე გადაღობილ საქართველოს.

სცენაზე ფარდის გახსნა ფიზიკურად შეუძლებელია სრულიად რეალური მავთულხლართების გამო და მსახიობები კულისებში თითქმის არ გადიან. ისინი სპექტაკლის ბოლომდე სცენაზე დგანან და პასაჟთა მონაცვლეობას ოდენ თეატრალური განათება არეგულირებს.

მავთულხლართებს ორივე მხრიდან მოადგებიან „გუშინდელი მტრები“ - ქართველები და აფხაზები.

გარდა შინაგანი ძახილისა და გარდაუვალი აუცილებლობის სურვილისა, ისინი აქ მოიყვანა აფხაზი ასულის სოფიას და ქართველი ჭაბუკის ლუკას მტკიცე გადანყვეტილებამ გადალაზონ „არამკითხე მამიდის“ მიერ აღმართული ხელოვნური ჯებირი და ურთიერთსიყვარული ქორწინებით დააბოლოდონ.

რასაკვირველია, ახალგაზრდებს შეეძლოთ გლობალიზაციის მიერ მოტანილი ახალმოდით ესარგებლათ, გაპარულიყვნენ და სადმე იქნებ „ნეიტრალურ“ ევროპაში ეფსკენათ ჯვარი, მაგრამ ამას თუ არ აკეთებენ, მხოლოდ იმის გამო, რომ უპირველესად პატივს სცემენ თავიანთ ტრადიციებს, პატივს სცემენ მშობლებს და ნათესავებს, პატივს სცემენ თავიანთ ქართველობას და აფხაზობას.

მავთულხლართის გაღმა-გამოღმა თავს იყრიან სიძე-პატარძლის ახლობელ-ნათესავები. იქეთაც პატარა ტაბლა დგას და აქეთაც. იქეთაც პატარა სუფრაა გაშლილი და აქეთაც.

ახლა კი თეატრისთვის არც თუ მომგებიანი სტატიკური სურათის წინაშე ვდგავართ.

სრულიად ზედმეტი იქნებოდა, სპექტაკლისთვის ვითომდა დინამიურობის მინიჭება ბატალური ან ბიოგრაფიული სცენების ჩამატება-გამოგონებით.

არც პათეტიკური დიალოგები და პუბლიცისტური ნიაღვრები უშველიდა საქმეს. ამგვარი სცენები ხშირად გვინახავს აფხაზეთ-საქართველოს (სინამდვილეში რუსეთ-საქართველოს) ომის თემაზე შექმნილ ფილმ-სპექტაკლებში და ნაგვიკითხავს სენტიმენტალურ (მთქმარებისმომგვრელ) რომანებში.

აქ დამდგმელმა რეჟისორმა ბენვის ხიდზე უნდა გაიაროს, რომ ერთფეროვნების მეჩხერ წყალსატევი არ გადაუცდეს ფეხი.

აი, ეს ბენვის ხიდიც: უპირველესად ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ მტყუან-მართლის ძებნა არ დაინწყონ, ვინაიდან ახლა ერთმანეთის პირისპირ პერსპექტიული მოყვრები დგანან.

„თვალეებში ჩაჯვდოთ ერთმანეთს. ჩვენ ხომ ერთმანეთის მტრები აღარა ვართ“.

ორივე მხარეს მტრის მიერ მოტყუებული-შეგულიანებული ადამიანები დგანან.

მათ მოზეზრებიან ერთმანეთის ბღვერით მზერა.

დალილიან ლოდინით, მონატრებით ერთმანეთი.

მათ საერთო სასაფლაოები, წინაპრთა ანდერძი, საერთო კერია-ბუხარი ეძახით.

ერთმანეთისკენ უხმობთ ათასწლოვანი სამეზობლო.

და განა რა მოხდა ისეთი, რომ ერთმანეთს ასე გაუფუცხოვდით? მიზეზი? ეს მიზეზიც მოიძებნა:

ახალყოილი სოფია და ლუკა სიყვარულის ჯაჭვმა გადააბა ერთმანეთს და უფროსი თაობის ვალია მიჰყვენენ სიყვარულის ხმას.

აფხაზები ქართულ სიმღერებს მღერიან. ქართველები - აფხაზურს.

აფხაზები ქართულ სადღეგრძელოებს ამბობენ.

ქართველები - აფხაზურს.

აფხაზები ქართულად ცეკვავენ.

ქართველები - აფხაზურად.

ჭაუმაირტი ხელოვნების პენვის ხიდეზა

(მოზარდ მაყურებელთა თეატრის პრემიერა)

ოცდაშვიდწლიან რუსულ დაშორიშობებას ვერ ნაუშლია ამ ორი ხალხის კულტურის საოცარი საერთოობა.

მაგრამ ეს წყვეული მავთულხლართი? ჯიუტი ფაქტი რუსის დამპყრობლური

რეჟისორი რომ პიესას წერს, საერთოდ, ყველა დროის თეატრში ახალი ამბავი არ გახლავთ. დიდებულ მაგალითად შექსპირიც იკმარებდა, მაგრამ რა დასამალია, არც თუ იშვიათად, რეჟისორის

ლიტერატურული დებიუტი არც თუ სასურველად მთავრდება. „სარა ბარა...“ ამ მხრივაც გამონაკლისია.

დიმას ჩვენ ვიცნობთ არა მარტო როგორც უნიჭიერეს რეჟისორს და ორგა-



პოლიტიკისა? მავთულხლართებთან დადის ნახევრადშემლილი ქართველი ქალი და მავთულხლართების გასწვრივ ყვავილებს რგავს.

და დიმიტრი ხვთისიაშვილმა სწორედ რომ ბენვის ხიდეზ გაიარა.

მთელ სპექტაკლს გასდევს განგაშის ზარი.

იგრძნობა, რომ დამპყრობელი რუსი ორივე ნაპირს უსმენს, ყურადღებით აკვირდება ძმათა და მეზობელთა ყოველ ნაბიჯს და როგორც კი ადამიანები მავთულხლართს მიუახლოვდებიან, რათა ერთმანეთს ხელი გაუწოდონ, თვალეებში ჩახედონ ან, რაც ყველაზე შთამბეჭდავი (ბარაქალა დიმიტრი ხვთისიაშვილს!), სასიძომ საპატარძლოს მავთულხლართთან გამოწვდილ უნატიფეს თითზე საქორწინო ბეჭედი წამოაცვას, იმწამსვე გაისმის გრგვინვა, ან ტყვიამფრქვევის კანონადა.

ეს იმას ნიშნავს, რომ რუსი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს:

„მართლა თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა ხომ არ გგონიათ თქვენ, ნახევრადდაპყრობილი ქართველებო, აფხაზეთი! ხელეები დაიმოკლეთ და დრომდე თქვენს კვერცხებზე დაეტიეთ. ეს სიტუაცია მე შეეკმენი და მე დავეკერე, რუსული ტანკებით და ჯავშანმანქანებით. ჭკუით იყავით და სიყვარულობანას თამაშს თავი გაანებეთ, თორემ თქვენც ისეთივე დღე დაგადგებათ, როგორც აფხაზებს ადგათ“.

ვერ შეაშინა დამოყვრება-შერიგების მსურველი აკრძალვა-დაშინებამ. ისინი ზღვაზე ჩაჰყვენენ მავთულხლართს ერთმანეთისკენ განვდილი ხელებით. რუსებს ჯერ ზღვაში არ გაუბამთ მავთულხლართები. მექორწინილენი წელამდე ზღვაში შევიდნენ და როგორც იქნა გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ასეთი გახლავთ ფინალი სპექტაკლისა: „სარა ბარაზხია...“.

პიესის ავტორი დიმიტრი ხვთისიაშვილი გახლავთ.

იდან (რაც ეკრანზე ჩანს და თეატრისა და კინოს მშვენიერ სინთეზად გაჰყვება სპექტაკლს) ზღვაში გასვლის ბედნიერ ფინალამდე. სწორედ სოფია და ლუკა ახვევენ თავს პიესის სხვა პერსონაჟებს თავიანთ ნებას და მიუხედავად არაკომფორტული გარემოსი, რაც ოკუპანტთა მიერ შუაზე გაყოფილი სოფლის მკაცრი სინამდვილეა, მათ ჯიუტ, ეჭვმიუტანელ დამოკიდებულებამ აშკარად ჩანს, რომ სიყვარულის დამარცხება შეუძლებელია.

მოხუცი აფხაზის ბექირბი ხიშბას როლს თამაშობს ჩვენი სახელოვანი ნუგზარ ყურაშვილი. ბექირბი ერთ-ერთ გამორჩეულ სახედ დამკვიდრდება ბატონი ნუგზარის მიერ შესრულებულ სცენიურ სახეებს შორის. ბექირბის დინჯ ხასიათში, მის ბრძნულ გადაწყვეტილებებში იგრძნობა, რომ ეს კაცი საქართველოს უძველესი ისტორიიდან მოდის და მომავალსაც მშვენივრად ჭვრეტს. მან კარგად იცის, რომ აფხაზეთი საქართველოა და ადრე თუ გვიან ნაგუბარში წყალი უსათუოდ ჩადგება, ამიტომ ამშვიდებს მტყუან-მართლის ძებნის ცხარე კამათში გართული მეზობლების ფონზე თავის, ნერვიულობისაგან აცახცახებულ, შეშინებულ შვილიშვილს - „ნუ გეშინია, ბაბუ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა“.

პიესის დედააზრს ოსტატურად გადმოსცემენ და შესანიშნავ თეატრალურ ანსამბლს ჰქმნიან ნიჭიერი მსახიობები: უცნობი ქართველი ქალი - თამარ მამულაშვილი, მერაბ ვაჩნაძე - გიორგი მაისურაძე, ნათია კუპატაძე - ნათია კუპატაძე, ნინა ვაჩნაძე - იაკო ჭილაია, მინალორა აჯინჯალი - ნელი ჯავახიშვილი, ხიბლა



ნიზატორს, არამედ როგორც დახვეწილ თეატრმცოდნეს, გემოვნებიან კრიტიკოსს და მეცნიერს. აქედან კი ერთი ნაბიჯია იმ გაბედულებამდე, რასაც პიესის შექმნა ჰქვია.

საგანგებოდ ვაკვირდებოდი: შეძლებდა თუ არა დიმიტრი ხვთისიაშვილი პერსონაჟებს შორის თანაბრად გაენაწილებინა თეატრალური სიტუაციების მთელი სიმძიმე, ეპოვა სასცენო „ლურსმანი“ სანახაობრივი კომპოზიციის შესაქმნელად და, რაც ყველაზე ძნელია, მიეცა ცალკეული სახეებისათვის თვითმყობადი ხასიათი, მათი ბუნებიდან გამომდინარე ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ანტიურაჟი.

მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ამჯერად დიმიტრის შესძლო. მის შესაძლებლობების წყებას მწერლური უნარიც დაემატა.

შეყვარებულ წყვილთა შთამბეჭდავ სახეებს ჰქმნიან თამარ ჭანუყვაძე (სოფია ხიშბა) და ნიკა ნანიტაშვილი (ლუკა ვაჩნაძე). მათი სიყვარულია სპექტაკლის უმთავრესი სიუჟეტური ღერძი, რომლის ღონიერ ტოტებქვემ ვითარდება წარმოდგენის დრამატული პერიპეტიები. დამაჯერებელი და სცენიურად სანდო მათი ურთიერთსწრაფვა პირველი მესიჯებ-

ხიშბა - კახა ჭოლაძე, ნართი ხიშბა - გიორგი ყორღანაშვილი, დათო კუპატაძე - ვამეხ ჯანგიძე, რატი - რატი გოგუაძე, ნურიდები - ნიკოლოზ კვანტალიანი.

...და მაინც ამ გამარჯვებული სპექტაკლის მშვენიერ სოფია ხიშბას როლის შემსრულებელი, ულამაზესი თამარ ჭანუყვაძეა. ჩემი ჩამორჩენილობის გამო მე იგი აქამდე ამ თეატრის სცენაზე არ მინახავს და ჩემთვის ეს ქალბატონი ერთგვარი აღმორჩენაც გახლავთ. ვპირდები ჩემს თავს, რომ დღეიდან სიამოვნებით მივადევნებ თვალს თამარ ჭანუყვაძის შემოქმედებით ზრდას და თეატრალურ ბიოგრაფიას.

მთავრდება სპექტაკლი და მაყურებლის მიერ მსახიობებისთვის სრულიად დამსახურებულად მიძღვნილი გულწრფელი ტაშის მიღმა ჩემთა თანამედროვეთა თვალეებზე დიადემასავით მბრწყინავ ეულ ცრემლსაც ვხედავ.

ეს ცრემლი ჭეშმარიტი, მაღალი ხელოვნების ხილვით მოგვრილი ცრემლია.

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ზაალ ნემსაძე

პრობლემები და მოუგვარებელი საქმეები შეიძლება ზესტაფონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მომეტებულიადაც კი აქვს, მაგრამ მთავარია უკან დახევას და სიძნელების წინაშე თეთრი დროშების გამოფენას არავინ აპირებს...

თბილისი-ზესტაფონი-თერჯოლის მიკროავტობუსმა რიკოთზე შესვენების შემდეგ, როგორც იქნა აქა-იქ გაბნეული მგზავრები მოიძია და გზას დაუყვა.

- ჰოდა, ქე ვზივარ მერთან და ის იყო პირი დავაღე თხოვნის სათქმელად. ჩინელი შამევიდა, მარა რა ჩინელი, ჩინელის უნახავს გაგხდოდა კაცს! თავი დაგვიკრა: მეო, ეუბნება მერს, სამუშაოთა მწარმოებელი ვარ, ტრასაზე გვირახი გამყავსო. სოფლის უფროსი მევიდა გუშინწინ და ორი საათით ტრაქტორი მთხოვა.კაი კაცი მეგონა და ვათხოვეო.

- ჩინურად ეუბნება თუ ქართულად? - ჰკითხა თანამოსაუბრემ.

- რუსულად. რუსული მაგენმა ქე იც-იენ, ჩინელებმა. ნეიყვანა ტრაქტორი და ორი დღეა არ მიბრუნებსო.

- მერმა რაო?

- რაიო და კვირაში ხომ შვიდი დღეა. ორი დღე შენს საქმეს არ დააქცევს და სოფელს კი ძალიან გამოადგება შენი ტრაქტორიო. დიდი მადლობა დახმარებისთვისო. ტრაქტორს დღესვე დაგიბრუნებსო. ხელი ჩამოართვა ჩინელს. იმან კიდე დაგვიკრა თავი, ეტყობა მეც მერიის თანამშრომელი ვეგონე და ქე დეერეკა თავის საქმეზე. მერი მომიბრუნდა და მითხრა: - კვირტა, რავა ხარ ოჯახში?

- იმე! შენი მეტსახელიც იცოდა?

- კი.

- მერე?

- მერე მამიგვარა საქმე და ქე წვევდი სახლში.

- რომელ მერზე ლაპარაკობთ, ძმე-ბო? - ჩავერეი უკანა სავარძლიდან.

- ჩვენი, ზესტაფონის მერზე, - მომიბრუნდა კვირტას თანამოსაუბრე.

- რავარი კაცია? - ვკითხები.

- საჩვენო კაცია...

ზესტაფონში ჩასულმა მერს დავურეკე: - მიხარია, რომ ხალხი გაქებს და უყვარხარ.

- რა შორიდან მკითხულობ. გვინახულე!

- აგერ ვარ, ორ ნაბიჯში, - ვპასუხობ.

- ჰოდა, გამომიარე. მიღების დღე მაქვს და არ გაინტერესებს რა ხდება?

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგლიჩიძეს დიდი ხანია ვიცნობ. ამ 10-12 წლის წინათ ჩემი გაზეთის ფურცლებიდან ზესტაფონელ ნაციონალებს ერთად ვადენდით კბილებიდან ოფლს...

მისაღებში იმდენი ხალხი დამხვდა, პურის რიგში რომ იდგა წინა საუკუნის 90-იანებში. მერის კარს მივადექი.

- უნდა ჩაენეროთ, ბატონო, - მომმართა შავგვრემანმა კობტა გოგონამ.

- შეთანხმებული ვარ, მიღებას უნდა დავესწრო.

- არ გენყინოთ, ვკითხავ, - და შევიდა.

ცოტა ხანში მერის მაგიდის თავში, მისგან მარჯვენა მხარეს ვიჯექი. გიორგიმ თანამშრომლები გამაცნო და რიგით მეთერთმეტე მოქალაქე მიიღო: მსუქანი, შავთმიანი ქალბატონი აღმფოთებული იყო: - კიდევ არავინ მოვიდა. მატყუებენ, თან ათასი ლარი არ მოფინის. კომისიამ ცუდად დათვალა.

- ერთი წუთით, ქალბატონო, - შეაჩერა მერმა, - კომისიის გაანგარიშებით, რომელსაც თქვენც დამეთანხმებით, რვაასი ლარი გეკუთვნოდათ. გავითვალისწინეთ თქვენი მძიმე მდგომარეობა და

ზესტაფონის მერის ერთი დღე

ათასი ლარი ჩაგირიცხეთ. კვირის დასაწყისში მიიღებთ. მეტი რა ვქნათ? რაც საშუალება გვაქვს იმაზე მეტს გაძღვეთ.

- თქვენი ოჯახი აშენდეს! დიდი მადლობა!

- კი, მაგრამ ხომ განგიმარტეთ და ადრევე გითხარით ამის შესახებ? რაზე წუხდებოდით აქ მოსვლით და რიგში დგომით? - გაეცინა ლაშა გოგოლაშვილს, მაღალ, სიმპათიურ ახალგაზრდას - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს.

- ჩვენი გიზოსგან (ზესტაფონლები მერს ხშირად „გიზოთი“ იხსენიებენ) მიხდოდა გამეგონა. თქვენ არ იცით, ახალგაზრდავ, ამ შენობაში ადრე რა ურჩხული მუშაობდა...

მერე ორი ხნიერი ქალბატონი შემობრძანდა: ცენტრალური საავადმყოფოდან ოთხასიოდე მეტრში ვცხოვრობთ. ლამის წყალმა წაგვიღოს. გვიშველე. მესამე განცხადება შემოგვაქვსო.

- ჩემთან?

- არა, ბატონო, წინა მერთან.

განცხადება მერიაში ვერ იპოვეს.

- ვერც იპოვეთ, - თქვა ერთმა ქალბატონმა, - არ დაგვიტოვებია.

გიორგიმ მწარედ გაიღიმა, შესაბამისი სამსახურის უფროსი გამოიძახა. შეთანხმდნენ: კვირის მანძილზე კომისია ადგილს დაათვალიერებს, პროექტს შექმნის და წლის ბოლომდე პრობლემას მოავგარებს.

- დიდი მადლობა, შეილო, მაგრამ გზაც რომ გავიკეთო ბარემ.

- ძალიან მიხდა, დეიდა, მაგრამ საშუალება არ გვაქვს. მომავალ წელს ვეცდებით ყველანაირად.

- კაი, დედა, შენი მჯერა, - თქვა ერთმა და მეორე ქალბატონს მიუბრუნდა, - არსად გასაშვები არ ხარ! ვითომ წერა-კითხვა იცი და განცხადებას რო უფრიალებდი წინა მერს და მერე უკან მოგქონდა, ვინ გავიკეთებდა საქმეს?

- არიქა, ახლა! მოდევით მეზობლობას! რაც გვინდოდა ხომ მივიღეთ და რაღას მეჩხუბებო?

- ჩხუბი შენ გარეთ ნახე...

მესამე სტუმარი აღნიშვნის ღირსია. თეთრ ჩექმებში ჩატანებული ჯინსის-შარვლიანი ქალბატონი, ნითელ-ყვითელი ბლუზით, ყვითლად შეღებილი თმით შემოვიდა და დადგა შუა კაბინეტში დოინჯით. არაფრისდიდებით არ დაჯდა. ქალბატონი ჟოკეის გავდა. ერთი ესაა კეპი არ ეხურა თავზე. ფანჯრი-

დან გადავიხადე, იქნებ სადმე ცხენს მოვკრა თვალი-მეთქი. ცხენი რომ ვერ დავინახე, კარები გავაღე და მისაღებში გავიხედე. მადლობა ღმერთს! ცხენით არ მოსულა. ჩვენი სახალხო მწერლის რევაზ მიშველაძის ნოველა „ლომი“ გამახსენდა, თუმცა ამ ქალბატონს ტიტე ნევაძის არაფერი ეცხო - სამსახურიც ჰქონია და დღეს აქ იმიტომ მობრძანდა, რომ რამე მაღალანაზლაურებადი საქმე ჩამაბარეთო. როცა გვექნება, ჩვენი თავი გენაცვალოსო. დაამშვიდა მერმა.

მერე შუახნის კაცი მოვიდა, ხმაური-

ანი და როხროხა:

- ოთხასი მეტრი შლანგი რომ მიხდოდა ის კაცი ვარ მე, - თან დაჯდა და წინდების გასწორება დაიწყო.

- შენ კი გინდოდა ოთხასი, მაგრამ თურმე 140 ყოფილა საჭირო. 150 მოგეცით, - გახედა მერმა.

- ყოფილიყო ოთხასი, თქვენი რამიდის?

- კიდევ ხომ არაფერი გნებავთ? - ჰკითხა რატი ბებიაშვილმა.

- შლანგი კაია, მარა შეშად როდის მამიტანთ?

- ნოემბრის შუა რიცხვებში.

- კაი, აპა, ნავალ ახლა მე...

მერე მოვიდნენ: გენადი ცხადაძე გორგოლაჭებიანი ეტლით, შუამავლისგან მოტყუებული სასიამოვნო გარეგნობის კაცი, რომელიც მერმა განსაკუთრებული სიყვარულით, ძმასავით მიიღო; არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალთა ოთახის შექმნის თაობაზე; პედაგოგი მესამე სკოლის არარსებულ ვაკანსიაზე; ლამის ოთხმოცდაათს მიღწეული ქალბატონი, რომელმაც ისე ჩამოაყალიბა ქალაქის განაშენიანების გენგეგმა, ოლონდ სათავეისოდ, ვირტუოზ არქიტექტორს შემუშურდებოდა; ავტობანიდან დაჩაგრული ნუნუ ყვირილით: - დავიქეცი, მიშველე.

- ნეტა თქვენისთანა დაქცეული ბევრი მოდიოდეს, შვიდი სული ძროხა გყავს, - უპასუხა მერმა.

- მერე იმ ძროხების სადგომს გადახურვა არ უნდა? - იმან.

- ოცი შიფერი მთხოვე, ოცდაათი მოგეცი და რა ვქნა? ფიზიკური მონაცემები არ მიწყობს ხელს თუ არა მე გადაგიხურავდიო, - ამან.

- სად არის დაპირებული ხუთი „ზილი“ ხრეში, - აბობოქრდა ნუნუ.

- ხუთი „ზილის“ ნაცვლად ხუთი „კამაზი“ ხრეში მოგიტანეთ, - მიუგო მერმა...

შემდეგ თერჯოლაში მომუშავე ექიმი ტრავმატოლოგი გაა კირთაძე შემოვიდა, ახალი ამწე-ლიფტის პროექტით, რომელიც კიბის მოაჯირზე მაგრდება თურმე; შემდეგ გვესტუმრა მინი-ფეხსაცმელების კოლექციონერი ქუთაისიდან, საგამოფენო ფართის და ოთხასი ლარის სათხოვნელად. დედეგაცია ელემენტების ყოფილი ქარხნის თაობაზე. პედაგოგები, ექიმები... მერმა ყველას მოუსმინა, ზოგს დაეხმარა, ზოგს დახმარება აღუთქვა, ზოგი დატუქსა, ზოგი კი კულტურულად გამოლანძღა. გიორ-

გი გოგლიჩიძეს მწარე სიმათლის თქმა ურჩევნია, სასიამოვნო ტყუილს.

დღის ბოლოს კი დასუფთავების სამსახურის მთელი შემადგენლობა ძლივს დაეტია კაბინეტში და ეს გაცეცხლებული ხალხი მერთან საუბრის შემდეგ მადლობის თქმაში ეჯიბრებოდა ერთმანეთში. ერთმა ხანშიშესულმა კი უთხრა: - გაიხარე, შეილო, წინა მერი უკანა გასასვლელიდან გაგვეპარა, ისე ეშინოდა ჩვენი.

- მანამდე არაფერი გეტკინოთ არც თქვენ და არც მე, ვიდრე ასეთ რამეს ვიკადრებ, - უპასუხა გოგლიჩიძემ, - მადლობა მე კი არა თქვენ გეკუთვნით, რომ ასე სუფთად და კობტად გყავთ ქალაქი შენახული.

მთელი დღის განმავლობაში გიორგი გოგლიჩიძეს წყალიც კი არ დაუღევია... რამდენჯერმე თანამშრომლებს სთხოვა: თეონა მაინც ჩანაცვლეთ ვინმემ. ცოდოა, წელში განყდა საწყალი გოგო. თეონა ცქიტვიშვილი კი ის ქალბატონია, მერის კარი რომ გადამიღობა დილით. თეონასთან ერთად მიღების დღის ორომტრიალში ეხმარებოდნენ: ლაშა გოგოლაშვილი, რატი ბებიაშვილი, მოადგილეები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი ვიტალი ჩინჩალაძე - ქალარამოსლი, ჭარმაგი კაცი, რომელიც ისე არიგებს ახალგაზრდებს, როგორც მამა საკუთარ შვილებს და ყველას ძალიან უყვარს. მერის კაბინეტში რამდენჯერმე გრფივალისით შემოიჭრა საკრებულოს ახალგაზრდა თავმჯდომარე, ვერცხლისწყალივით მოძრავი ვახტანგ ლამბაშიძე, რომლის ერთადერთი ნაკლი თურმე უცოლობაა. მთელი ეს გუნდი კეთილი სიტყვებით იხსენიებს „ჯორჯიან მარგანეზის“ კოლექტივს და მის თავკაცს ნიკოლოზ ჩიქოვანს, რომელმაც არაერთი კეთილი საქმე გააკეთა და ბევრი პრობლემა მოუგვარა ქალაქს.

- ღმერთმა დიდი გაძლება მოგცეს, - ვუსურვე მერს დამშვიდობებისას...

მისმა თანამებრძოლმა რატი ბებიაშვილმა კი განმიმარტა, რომ გიორგის საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს. ახლა ის საკანცელარიო დოკუმენტაციას მიხედავს, მერე კი ღამეულ გასვლებს დაიწყებს ქალაქში. ლამის სამ საათზე და უფრო გვიან სახლში მისვლა მერისთვის ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. ამიტომ გიორგი გოგლიჩიძის განცხადება მისი მერად არჩევის პირველ წუთებში - როცა ამ თანამდებობიდან წავალ თან მხოლოდ ზესტაფონლების სიყვარულს წავიღებ - სულაც არ ყოფილა ლიტონი სიტყვები.

სამწუხაროდ ვერ შევხვდი ზესტაფონის მაჟორიტარს შალვა კიკნაველიძეს, რომლის კეთილ საქმეებზე ბევრი აქაური საუბრობს. ბატონი შალვა თბილისში სესიაზე იმყოფებოდა.

...პრობლემები და მოუგვარებელი საქმეები შეიძლება, ზესტაფონს სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, მომეტებულიადაც კი აქვს, მაგრამ მთავარია უკან დახევას და სიძნელების წინაშე თეთრი დროშების გამოფენას არავინ აპირებს...



ნანული (ნანა) გუნია

უფალს!

დიდება შენდა! ამ ქვეყანაზე ყველას პატრონი შენ ხარ, მზის სხივზე მეტად გაბრწყინებულ, ამომავალი მზე ხარ.

ჩვენს ცოდვილ სულებს მწედ მოევლინე, შენზე კეთილი არ გვყავს, სულ გვწყალობ იმის მიუხედავად, რამდენი ცოდვა დაგვაქვს.

როს ავად ვხდებით, ჩვენი მკურნალი ექიმი გვინერს წამალს, განსაცდელს ჩვენთან გზავნი, როდესაც ვცდებით გზას, შენსკენ მავალს.

განსაცდელს გზავნი, ამით გვაფხიზლებ, ეშმას ხრიკებს არ ავყვეთ და მიგვანიშნებ შენს ცოდვილ შვილებს, რომ იმ წმინდა გზას გავყვეთ.

რომელსაც წმინდა, სუფთა გზა ჰქვია და რომ მიგვიყვანს ტაძარს, ჩვენს ცოდვილ სულებს რომ გადაგვირჩენს, ცოდვებს გადუყრის ხანძარს.

გზა ნათელი და სუფთა და სწორი, მადლით, სიკეთით სავსე, სამშობლოსა და დედის დარია, არ გაიცვლება სხვაზე.

მამ, გავუფრთხილდე ამ წმინდა, ნათელ გზას უფლისაკენ მავალს, გზას გადამრჩენელს ჩვენი სულების, გზას ვინროს, მაგრამ მართალს!

ეს რა ძლიერ მყვარებიხარ დედას

უფალს ვმადლობ, რომ მომმადლა ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც არ მეშვება სევდა, ფიქრი, დარდი.

შენდობას ვთხოვ უფალს სულ, მაინც სული რომ ტირის, ველარ ვუძლებ ჩემს დედასთან განშორების ტკივილს.

ეს რა დიდი ძალა იყავ, დედიკონა, დედა, რაც დავშორდი ჩემს გულს ჰმონებს ნალველი და სევდა.

ეს რა ძლიერ მყვარებიხარ, ველარ ვგრძნობდი ადრე, რა მკვრივია, დედი, ჩვენი სიყვარულის ბაღე.

ბაღე, სადაც ვერვინ აღწევს გარდა ჩვენი სულის, ბაღე, სადაც სულ იმეფებს ჩვენი სიყვარული.

ბაღე, რომლის ყველა ძაფი განასკვულა მყარად, სიკვდილამდე ვუდარაჯებ მე ამ ბაღეს მარად.

მანამ, სანამ დაეშვება ჩემი ყოფის ფარდა, რომ ვერავინ შეძლოს შიგნით შეღწევა ჩვენს გარდა.

მიყვარს ჩემი საქართველო

მიყვარს ჩემი საქართველო მოჩითული ველებით, ია-ვარდის ყანებით და ნაირ-ნაირ ფერებით.

ვერსად ვპოვე სხვა ქვეყანა საქართველოს სადარი, ტანაყრილი ალვის ხე და დიდფოთლება ჭაღარი.

აქ ყაყაჩო, იქ გვირილა, აქაც იასამანი, დუმფარა და ყოჩივარდა, მიმოზა და სოსანი.

დელფინიუმი, გერბერა, მიხაკი და ცინია, იზაბელა და გელბარდი, ფულკლორი და ლილია.

ქრიზანთემა და სოფია, ასტრა, ასტრომერია, აქ ხმალა, იქ გიორგინა, ნაირ-ნაირ ფერია.

ჩემო ტურფა საქართველოვ, მუხავ ფესვებმაგარო, მუხავ ნაშამქორალო და ღვთისმშობლის წილნაყარო.

შენთვის სიცოცხლესაც დავთმობ, მარტო სიტყვით კი არა, ჩემი სული, ჩემი გული, შენ გეკუთვნის მთლიანად!

ღვთისმშობალს

ამ სამყაროს შემოქმედის, ქრისტეს დედა მშობელო, სიყვარულის, სიკეთის და მადლის წარმომშობელო.

ყოველთვის და ყველგან, მუდამ, შენი მეიმედება, შენი დიდი წყალობაა გულს რომ სითბო მედება.

შეგთხოვ, წმინდა გზით გვატარო, შენთვის სათნო გაგვხადე, შენი და უფლის მადლია, რომ მოვედით აქამდე.

გთხოვ, მშვიდობა დაგვიმკვიდრე, იმიერ და ამიერ, შენი წყალობა მოგვმადლე მრავალ, მრავალუამიერ.



მაყვალა მესხაძე

ბუნების ჰარმონია

ვაჟას საფლავის ცივ ლოდზე, შვლის ნუკრი წამონოლილა და მთანმინდაზე უმაღვე, სიმშვიდე ჩამონოლილა...

დამტკბარა ბუნების შვილი, მგოსნის სათუთი გულითა, დამშრალა ობლის ცრემლები, გადმომდინარე ურვითა...

საკვებად მოსწონებია, ლოდზე მოყრილი მარილი, სიცივისაგან იფარავს, ილიას დედას მანდილი...

არ ენატრება, ბარდა, ტყე, არც ქორფა, ნორჩი დუყები, ო, მბრძანებელო, ბუნებავ, ამისთვის ნუ გაუწყრები...

მამა დავითის სანახებს, შემატებია სინათლე, განთიადს ასდევნებია, რაშზე შემჯდარი სინათლე...

ამ მთაზე ამოსულიყოს, „იას“ მოყვარე „სუმბული“, რომ აღარ მტრობდეს ერთმანეთს, არანაირი სულდგმული...

ისარგაყრილი ფხიტი

რით ამიყოლა „ტანგომ“, ისარგაყრილი ფხით? ამ აბორგებულ როკვას, სული ამოაქვს ყელში.

„ტანგოს“ პლასტიკა უყვარს, არ მეხერხება იგი...

ძალით მორგებულ შარვალს, ვერასგზით ველარ ვიხდი. ღამის „ტავერნის“ ბუღში, ჩუმად გიტარა უკრავს, ვიოლინოს და ფლეიტს, თავდავინყება უყვარს...

წელავს ღარიბი გარმონს, ამაჩუყებელ ჰანგებს,

აქლემის ბუნვის პალტოს, გარდელი ღილებს აბნევს. აღმავლობას თუ კრიზისს, პირმშოდ დაჰყვება „ტანგო“, „ოქროს სანმისის“ თასმებს, აფრებზე იხვევს „არგო“...

თბილისის უბაჰი

სურნელს დავეძებ, მშობლიურს, ძველი თბილისის უბეში, ფიროსმანს ვეჩურჩულები, იქნებ დახატოს ნუგეში...

მტკვარზე გადებულ რკინის ხიდს, რკინა ახურავს ჩადრად, მეთევზეს სილა გაანწეს და ტივიც წარსულს ჩაბარდა...

იმ წარსულს, დღევანდელიობამ, წიხლი რომ ჰკრა და ჩაქოლა, მინის შვილების ქაოსში ჩათრევას მისდევს ჩაყოლა...

„ლარი“ ვაჩუქე მათხოვარს, ხურდად მომიგდო „დოლარი“, მხარდამხარ მომსდევს ჯიქურად, ათასი სჯულის მსტოვარი...

გვერდი ვუქციე „ზმანებას“, რუსთაველისკენ გავქანდი, ლალიძის წყლების აბრასთან, გულამოსკვნილი გავქვავდი...

უცხოენობრივ მანიას, „ძე“ დაუმარხავს ქართულში, უფლის ბოძებულ საჩუქარს, თვით ქართლი კარგავს მამულში...

თვალი ვუსწორე „ქაშუეთს“, „მამა დავითს“ და „სამებას“, „სიონს“ შენდობა შევსთხოვე და სულიც ფესვებს წაება...

ორთა ჭიდილი

გვიმზერს, ცალმხრივად, ორი თვალი დარაბებიდან და ძალაც ორი, გვამომრავებს დაბადებიდან...

გულსისხლძარღვებში ორი სახის სისხლი ჩხრიალებს, ბედის ბორბალიც ორგულია, მისთვის ტრიალებს...

გონიც ორადაა გაყოფილი, გმობს თვის გაჩენას, კითხვად ქცეული, ვერ ახერხებს ხვედრის გარჩევას...

ყველაფერს ვისმენთ, არ გვაქვს სმენა მხოლოდ მთავარის, სიმართლე ყოფის, არ უცვნია დღემდე არავის!

ერთ კერპს, ვერ ვამსხვრევთ და მეორეს ვადიდებთ ვითომ, ორთა ჭიდილი კი თავისას, ჯიუტად ითხოვს...

კარიბის აუზის მწერლები
ლიტერატურული მემკვიდრეობის
მეცნიერება ანუ „ოცდამეჩვიდმეტე
დრამატული სიტუაციის კაზნაში

ანსა

დრამატულ სიუჟეტს კი მართლაც
ჰქონდა ადგილი, თუ გავიხსენებთ ორი
დიდი ლათინოამერიკული მწერლის,
მარკესისა და ლიოსას, მიერ მეგობრობას,
შემდგომ მოულოდნელ, სკანდალურ
კონფლიქტს, რომელიც 30 წელიწადზე
მეტი ხანია, რაც გრძელდება. ესაა ჯერ
ცნობა-აღიარება, შემდგომ უბრადად ყოფ-
ნა... რას უნდა გამოუწვიო იგი? ყვითელი
პრესა ამას სხვადასხვა პოლიტიკურ თუ
პირადულ სარჩულს უდებდა, მაგრამ
დღემდე ორივე დუმდა და მარტოობით
დადგასმული ურთიერთობით მარადის-
ობის კარიბჭეს უახლოვდებოდა.

ალბათ, მკითხველი თუ ლიტერატურათმცოდნე
ამას ნაკლები ინტერესით შეხედავს. მთავარი ხომ
მაინც ორივე მწერლის ლიტერატურული
მემკვიდრეობაა, რაც მოგვწონს ან არ
მოგვწონს და არა მათი პირადი ურთი-
ერთობა. ასეც უნდა მეფიქრა, რომ არა
დეტექტივების მოყვარული ლიტერატურათმცოდნის
და „ყოფილი ჟურნალისტი“ ცნობისნადილი
ჩავლრმავდებოდი იმ „ოცდამეჩვიდმეტე
დრამატულ სიტუაციას“, როგორც მარკესი
ახსენებს თავის „მარტოობის ას წელში“ და
რომელმაც გამაბედინა მემსჯელა, თუ
ეს რატომაა ასე: უბრალოდ საძიებელი
ობიექტია მათი შემოქმედება (მარკესის
„მარტოობის ასი წელი“ და ლიოსას
„დეიდა ხულია და მოკალმე“). არაფერია
მათ შორის საერთო, მსგავსი და მაინც
ობიექტი არსებობს, შერჩევა შემთხვევით
არ მომხდარა – (ყოველ შემთხვევაში
მარკესის მხოლოდ ეს რომანი უნდა
ამელო, ლიოსასი კი ისე ავიღე).

არსებობს საკვლევი სიტუაცია, რომლის
სიღრმეებში შესვლას სულაც არ ვაპირებ,
უბრალოდ მას, როგორც მომხდარ ფაქტს,
ასე აღვიქვამ და საძიებელია ნივთმტკიცებანი
ანუ შემოქმედებით ლაბორატორიაში დღისით
თუ ღამით ბორიალი და „ამონევა“ იმისა,
რაც მჭირდება, დავასაბუთო: „ეს სკანდალური
სიტუაცია უნდა მომხდარიყო თუ არა.

„ლათინური ამერიკის, ეგრეთ წოდებული,
მაგიური ლიტერატურა, რომელიც შესაძლოა
მსოფლიოში ყველაზე რეალურ ლიტერატურას წარ-
მოადგენს, მოქცეულია უაღრესად განსაზღვრული
კულტურული რეგიონის ფარგლებში. ეს არის
„კარიბის აუზის“ ქვეყნები და ბრაზილია.
ვარაუდობენ, თითქოს თავისი მაგიური
მუხტის გამო იგი ზანგური ელემენტებისაგან
იყოს დავალებული. სინამდვილეში კი ეს
მუხტი გაცილებით ადრინდელი წარმოშობისაა“
— წერს ერთგან მარკესი ჟურნალ „სუმრეს“
კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.
კი, ბატონო, კარიბის აუზის „მეკობრეები“
არიან მარკესიც და ლიოსაც, რომლებიც წარ-
სულის ფესვებს რძესავით სწოვენ, თავიანთი
გმირების მომავალი სამოქმედო არეალისათვის
ფერებს და ბგერებს არჩვენ, მათთვის ეს
არეალი ძალიან ბუნებრივია და სრულიადაც არ
ანუხებით იმის შეგრძნება, გაიგებენ თუ არა
ევროპის, აზის ან, თუნდაც ისეთი ქვეყ-

ნის, როგორც საქართველოა, მკითხველები
ამ უცნაური ისტორიულ, პოლიტიკურ კატაკლიზმებს,
რომლებიც ამ „აუზში“ მცხოვრებთ შეუქმნა
რასათა, კულტურათა შერევამ... აქ დასაშვებია,
არდასაშვებია ხდება და, პირიქით, ბუნებრივი
მოთხოვნილებანი ისევე სტიქიურად ითხოვს
დაკმაყოფილებას, როგორც ველური ტომების
განვითარების ადრეულ ეტაპზე. სისხლის აღრევა
ეომება რელიგიურ მონესრიგებლობას და
მაინც თავისი გააქვს. დიახ, ჰგავს, ძალიან
ჰგავს ასასახი სამყარო, ლიოსასი და მარკესისა,
ერთიმეორეს და ამოსავალი მაინც ფოლკნერია,
ეს „ბლუნჩი“ მწერალი, რომელმაც თავის დროზე
იპოვა ახალი და ესთეტიზმს გამოუცხადა პროტესტი.
ალბათ, ძალიან გაგაოცებს, მკითხველო, ჩემი
მსჯელობა და ასე გაბედულიც ვოლგენზე, რომლის
ნაკითხვის გუნებაზე დადგომას დიდი ხანი
დაჭირდა: იქნებ 10 წელიც, როცა თაროზე
განმარტოებული, ლამის ჩაყვითლებული
ნიგნი მივლინებაში წავიღე მოვალეობის
ჟამს წასაკითხად. მერე შევძვერი „ვოლკნერში“,
გაგვფოლკნერიანდი და ერთბაშად წავიკითხე
ყველაფერი, რაც კი გარშემო მომქვედებოდა.
მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი მომენტი
ცხოვრებაში, როცა აღტაცება და ზიზღი
არაესთეტიურისადმი ცვლიდა ერთმანეთს
და მწერალი „მოვიდა“ ჩემთან, ისევე,
როგორც სხვა ევროპული ინტელექტუალური
პროზაიკოსი ასე მოვიდა თავის დროზე,
პირველი ნაკითხვისთანავე, მაგრამ უფრო
მსუბუქად, ერთი ამოსუნთქვით, რაც ასე
გამიჭირდა ამჟამად, მისი მეორედ
გადაკითხვისას. მიზეზებს არ ვეძებ.
უბრალოდ ფაქტს გამოვყოფ: მართალია,
როგორც თავად მარკესი ამბობს, ეს ერთი
ნიგნია მთელი მისი შემოქმედება, ერთი
სამყარო, ერთი ჯგუფი ადამიანებისა,
რომლებიც სხვებს ჰგვანან კიდევაც და
არც... ჰგვანან პირდაპირობით, უხეშობით,
ტრადიციის დამკვიდრებით თუ ყველაფრის
რღვევის სურვილით, ველური ალტყინებითა
და ფილოსოფიური ჩაღრმავებით...

მარკესის სწრაფვა რევოლუციური მოვლენებისაკენ
თავად მისი ბუნების, მშვიდობიანი, წყნარი
ლათინოამერიკელის, შინაგანი განცდის
გამოხატულებაა, თუმცა პროზაში რევოლუციონერი,
ყოველნაირად ებრძვის გავლენას თანამედროვე
მწერლებისას და ეს ბრძოლა ხანდახან
ძალიან უკიდურესია, კატეგორიული, რაშიც
ვლინდება მისი ანტიესთეტიზმიც და
მშვენიერებისაკენ სწრაფვაც იმავდროულად.
ადამიანის სულის უკიდურესად ბნელი
კუნჭულებიდან იმის ამოქაჩვა, რასაც თავად
ვერ უმხელს პიროვნება საკუთარ თავს.
მარკესის ბუნებრივი ოჯახის ისტორია
ლიტერატურული ხერხებით რევოლუციურია,
ესთეტიზმის ზოგადდამიღებული ნორმებისაგან
თავისდაღწევის მცდელობა. თითქოს აქ
ღმუის სულის კუნჭულებში „ყველაფერი
დასაშვებია!“ ამის უფლებას აძლევს ავტორს
ის წარმართული სისხლის ყვილი, კულტურათა
და რელიგიათა აღრევის უცნაური კონგლომერატი...
ამიტომ „არ იგებს“ მარკესი ჰემინგუეის,
რომელსაც მიიჩნევს კარიბის აუზიდან
ამოზიდულ მწერლად, მაგრამ აღიზანებს მისი
რომანტიკულობა და ღრმა ესთეტიზმი,
რომელსაც მხოლოდ „ისიბერგის“ პრინ-

ციპი აძლევს „კარიბულობის“ ერთგვარ
რეალობას, ქვეცნობიერის, ბნელის, ვერაფრის
დასაშვების დაფარვა და მკითხველის
გამომძიებელივით ჩაღრმავება-ჩაკირკიტებისაკენ
სწრაფვა: მე ვწერ მხატვრულად, ჩემი ქვეცნობიერის
ორი მესამედი კი წყალშია დაფარული,
შენ ჩაიხედო და ამოატივტივო შენი სულის
ბნელი კუნჭულებიდან ის... მარკესს ალიაზიანებს
ეს „დაფარულობა“. მას უნდა ყველაფერი
თქვას და ყველაფერი ამოაყიროს რა საჭიროა
პოზიორობა. გახსენით ადამიანის სული „პანდორას
ყუთი“ და ამოვა იქიდან ყველაფერი...

ამ მხრივ ფოლკნერიდან ერთად მარკესიც
დამრღვევია ლიტერატურის ესთეტიზმის
პრინციპებისა. ქმნის ნიგნებს „ამოკითხვების“
პერიპეტეტივით, და მაინც ერთ მთლიან
ნიგნს ადამიანის სულის მარტოობისა, რომელსაც
ვერც სიყვარულში, ვერც ბრძოლაში, ვეფც
რელიგიური დოგმების დაცვათუ რღვევაში
უპოვია „გზა ხსნისა“. ესაა რასათა, კულტურათა,
რელიგიათა აღრევის შედეგად ბუნებრივად
შექმნილი ჰომონოკულუსი, იგივე მერი
შელის შედისა უცნაური არსება, ფრანკენშტეინი,
რომელიც გარეგნულადაც განსხვავდება
სხვა შვილთაგან: შავი, ცისფერთვალა,
ვიწროსახიანი ყვითელი, თეთრი და ასე
შერეული... ამიტომ დაათრევს „მარტოობის
ასი წლის“ პერსონაჟი მშობლების
მორაკუნე ძვლებს და მიწას ჭამს
გამალებით, თითქოს მასში ეძიებს შვებას...
მარკესს სიუჟეტების სესხება არ სჭირდება;
მშობლიური ყოფა მას უკვე აძლევს
შინაგანად მაკონდოს... მაგრამ ზოგჯერ
წასძლევს სურვილი, ცნობისნადილი
სხვა სამყაროსთან შეხებისა... ამიტომ
„გამოცხადებული სიკვდილის ისტორიაში“
ავტორი უფრო ევროპული ლიტერატურის
ესთეტიზმს ესესხება თითქოს... ბოლო
რომანში კი მარკესი კვლავ უბრუნდება
სიყვარულის მარადიული განცდის თემას.
მარკესის კონცეპციაში აღრეულია ყველაფერი,
რაც შეიძლება მომხდარიყო ან არ მომხდარიყო,
სადაც, როგორც ვ.ბ. ზებკოვი აღნიშნავს,
ავტორი თითქოს თვალს გვიკრავს
ზოგიერთ ეპიზოდებში და მიგვანიშნებს
რალაცაზე, რასაც არ ამბობს ბოლომდე.
ამიტომ ჰქვია ამ რომანებს „სიყვარული
ჟამიანობისა“ და „ჩემი საყვარელი
კახუები“. აქ ნამდვილი მონატრებაა
სიყვარულისა, რომანტიკული ტრადიციისა,
რომელიც იქმნება სენტიმენტალური
სიმღერების, ანეკდოტების და მარადიულ
სიყვარულზე დაუჯერებელი ზღაპრებისაგან
„სიყვარული კუბოს კარამდე“. აქ თითქოს
იკვეთება კარგას ლიოსასა და მარკესის
„ლიტერატურული გზები“. ლიოსა
რომანტიკულ გაგებას სიყვარულისას
ააღორძინებს, მაგრამ, სასაცილო რომ
არ გამოჩნდეს ნაწარმოებში („დეიდა
ხულია და მოკალმე“) ურთავს უცნაური
ტიპის რადიოსერილების სცენარისტის
ნათხზავს. ამით იგი თითქოს მკითხველს
ამორებს რეალობას და ისე უბრუნებს
იმავდროულად თავისი პერიპეტეტივით
ვარგიტასის სიყვარულზე დეიდა
ხულიასადმი. ერთი შეხედვით აქ
თითქოს არაფერია ახალი და მაინც
ახალია, პოსტმოდერნული მანერა,
რაც განასხვავებს ლიოსას „კარიბის
აუზის მეკობრეებისაგან“, მწერალი
იმავე რთული რასობრივი,

პოლიტიკურ-ეკონომიკური და რელიგიური
კატაკლიზმების გადახლართვის ფონზე
ქმნის თავის რეალობას, „ბაბილონის
გოდოლის“, ახალ მოქალაქეს, რომელსაც
წამოჰყოლია სიყვარულის რომანტიკული
გაგებაც და უკიდურესი რეალობა,
ოღონდ მოკალმის რადიოპიესების
ნაწილები სწორედ ამ აღრევის რეტროსპექცი-
აა მსუბუქად, იუმორითა და ხანდახან
სატირის საფანელით „შეკეთებული“...
ლიოსას ოსტატობა მისი თამაშის
მანერაშია, რაც არსებითად განსხვავდება
მარკესისაგან. საერთო აქ მხოლოდ
„კარიბის აუზის“ მოქალაქენი არიან,
რომლებიც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს,
მათაც ანუხებთ წარსული, ანმეოს
გატანჯულ, ხან კიდევ მარადიული
გართობის პერიოდად მიიჩნევენ.
ლიოსა ლალია, ფიქრიანი და ავტობიოგრაფიულიცაა,
გულჩახურულ მარკესთან შედარებით...
ლიოსას „ლიტერატურული თამაში“,
ეტყობოდა, აღიზანებდა მარკესს,
ამას ერთოდა რალაც პოლიტიკურ
შეხედულებებში აზრთა სხვადასხვაობაც.
მაგრამ ერთი ცხადი იყო, როგორც
მარკესია განუშეორებელი სტილით,
ასევე ლიოსაც „კარიბის აუზისათვის“...
იქნებ სიყვარულის რომანტიკული
გაგებისაკენ სწრაფვის ქვეცნობიერმა
ფაქტორმა განაპირობა მარკესის
„გადასვლა“ ლიოსას „ტერიტორიებზე“...
ალბათ, ამიტომ, იქნებ ამიტომ
1976 წელს მოხდა ის ცნობილი
სკანდალი, სადაც ლიოსა მუშტით
გაუმასპინძლდა მარკესს...

ლიტერატურულ სამყაროშიც თავისი
კანონები მოქმედებს: მეგობრობა,
ღალატის შემთხვევაში — შურისძიებაც...
„ამონევა“ ამ ორ დიდ მწერალს შორის
არაა პირადული, უფრო ზუსტად,
არის პირადული ოღონდ „ლიტერატურულ
ფონზე“. მშვიდობა კი 30 წლიანი
მოჩვენებითი დუმილია, რომელიც
მონაშობს, რომ არცერთმა მათგანმა
არ იწინა ჩადენილი. ასეთი რამ კი
მხოლოდ შემოქმედებითი კონფლიქტის
საფუძველზე შეიძლება მომხდარიყო...

და ბოლოს, ვერ გეტყვით, როგორც
მკითხველი როგორ მივედი მარკესამდე,
ან როგორ გავიგე ლიოსა. „კარიბის
აუზის მეკობრეები“, მწერლები, ინდივიდუალობის
პრინციპებს მკაცრად იცავენ და ახალ
გზებს დამოუკიდებლად ეძიებენ,
თუმცა მათ შორისაც დადგა ის 37-ე
დრამატული სიტუაცია, ამის მიზეზების
გახსნა, ვგონებ, არასოდეს მოხდება,
რამდენადაც მწერლურად პირადულია,
განსხვავებულად მტკივნეული, რასაც
ვერასოდეს აპატიებ მეორეს, თუნდაც
ღრმად რელიგიური იყო. მით უმეტეს,
რომ რელიგიასთან დამოკიდებულება
მათიც იმ „ბაბილონის გოდოლს“
გვატოვებს, რომელიც შენდება „კარიბის
აუზის“ მწერლების მიერ და რომლებიც
მეგობრებიც არიან და დაპირისპირებულნიც...

P.S. გამონაკლისია იქნებ ჟორჟი
ამადუ, რომლის მწერლური ოსტატობა
ორივე მწერალთან შედარებით უკიდურესად
ღალია, ანტიესთეტიურიდან ესთეტიურისაკენ,
რასობრივ, რელიგიურ აღრევიდან —
ჰარმონიისაკენ.

თამილა გოგოლაძე
გორის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პროფესორი, ფილ. მეცნ. დოქტორი

ჯემალ შანიძე

თოვლი

ა.თ.

როგორ გიყვარდა, როგორ გავიდა ეს სილამაზე და ოქტომბერი. ყვითელი ფოთლის სისადავიდან ძველი დღეების ალერსით ვმღერი.

მე მახსოვს თოვლიც როგორ მოვიდა - ულამაზესი, ფართო თვალებით. მოვიდა თითქოს სიახლოვიდან, მაგრამ ოდნავი დაგვიანებით.

ეს თოვლი ახლა თითქოს ბროლია, ამ თოვში ბრწყინავს შენი საყურე. შენ გიყვარს გარეთ როცა თოვლია და ოთახიდან ჩუმად გაჰყურებ.

შენ გიყვარს გარეთ თვალის ცეცება სახლში შექმნილი თბილი აურით. შენ გიყვარს, როცა სარკმელს ეცემა თოვლის სიციქლის ნაზი ხმაური...

ზაფხული

რა საამური მახსოვს ზაფხული, აი, ბაბუაც მოდის კალოდან, ყანები გულით არის დახნული, ქალი ამოდის სოფლის წყაროდან.

სოფლის წყაროსთან სხედან ქალები, ჩემს სახლშიც აღწევს ხითხითი მათი, მიყვარს, რომ მათთან დავიარები მე ჩემი ლექსით და ქარიზმათი.

სოფლიდან კიდევ მოისმის ხმები, ამოდით, უკვე ცივა მადანა! და ასე ჩემგან სიმღერის ხმებით მიდიან ტასო, ცირა, მადონა...

აი, ბაბუაც მოდის კალოდან, აი, ყანები, გულით დახნული. სოფელი ვიცი მე არნახული, რა საამური მახსოვს ზაფხული...

თოვლი

უეცრად ღამით მოვიდა თოვლი და შენ გეძინა ოთახში თბილად. არა პირდაპირ, არამედ მოვლით ყველაფრის ახსნას ცდილობდა დილა.

უეცარს ჰგავდა თოვლიც და დილაც, ჩვენი პირველი შეხვედრის მსგავსად. გარეთ კი ისევ გრილოდა... (გრილა). გეძახე, თუმცა არ ჩანდი არსად...

თითქოს ეს თოვლიც რაღაცას ნიშნავს, გადაბერილი, ქათქათა თოვლი... და იფარება ტირიფი, ქვიშა სასონარკვეთით, შიშით და თრთოლვით.

მე კი რამდენჯერ ვეცადე უკვე, შენ კი გეძინა ოთახში ტკბილად. არა პირდაპირ, არამედ მოვლით ველაფრის ახსნას ცდილობდა დილა...

ბავრი ლექსი დამიგროვდა

ბევრი ლექსი დამიგროვდა, ჯერაც დაუსტამბავი - ცოტა კარგი, ცოტა ცუდი, ცოტა უცხო ამბავი. ფიქრს არ ვაძლევ მოსვენებას და გვერდში მყავს მხარდამხარ. მე ლექსები ამაშენებს, მე ლექსები დამმარხავს. ფიქრი - ჩემი სატევარი, და ლექსი - სალამური, მივქრი, როგორც მტრედი ცაში, როგორც წყალში ამური. ბევრი ლექსი დამიგროვდა, ჯერაც დაუსტამბავი - ცოტა კარგი, ცოტა ცუდი, ცოტა უცხო ამბავი...

ლექსის თქმა მსურდა

მე დილიდანვე ლექსის თქმა მსურდა, დღეს სულ სხვა ძალით ვიყავი სავსე. ეს დიდი ნატვრა მე ამისრულდა, ვზივარ და ჩუმად ჩემს რვეულს ვავსებ!

რა არის მაინც ეს ჩუმი ძალა?! რა საიდუმლოს ინახავს გულში. ნუთუ მე სხვა დროს ის დამემალა ყველა ზამთარში და გაზაფხულში.

თუკი ეს მაინც პოეტის სიტყვა დარჩება მუდამ შეუმუსვრელი, მინდა, რომ ერთი ბოლომდე ითქვას, ჩემი ოცნება კვლავ შეუცვლელი.

მე ლექსის წერა დილიდან მსურდა. რაღაც სხვა ძალით ვიყავი სავსე. ძვირფასი ნატვრა მე ამისრულდა, ვზივარ და ჩუმად ჩემს რვეულს ვავსებ...

არსოტში

მზე ჩუმად დაჯდა არსოტის ქიმზე. ღრუბელი ღრუბლის სარეცელს ღამბავს. აგორებული ნისლივით გიმზერ და თან ვლილინებ სევდიან ამბავს... შორიშორს მოჩანს ჯიხვების ჯოგი, ნისლში ჩაფლულა კოვგრა და ბისნა. არვედან ქიმზე დაეშვა ზოგი, ო, როგორ მომკლა ღრიალმა მისმა... დამეცეს ციდან ლახვარი ღმერთის, გვერდით რომ მყავდე, ო, როგორ მინდა. საამურია მხარე დუშეთის, რა კარგად მოჩანს დღეს კვირინმინდა. გათავდეს დღესვე ნამება ჩემი, აღარ მსურს შენი ქოფაკი სიტყვა. დღეს უცილობლად არსოტში ვრჩები, მორჩა რაც იყო, კმარა რაც ითქვა... მზე ისევ ჯდება არსოტის ქიმზე. ღრუბელი ღრუბლის სარეცელს ღამბავს. აგორებული ნისლივით გიმზერ და თან ვლილინებ სევდიან ამბავს...

ფიქრია ჩუბინიძე

მიდიხარ

მიდიხარ, დღეებს აღარ სწყურიათ ვარდის კოკრები ცვარით ნამული, არავინ მკითხავს, სადაურია ჩემი ცრემლები და სიყვარული. მიდიხარ, ვიხდენ სევდის მარმაშებს ტრფობის, ლალატის უხვი მძივებით, ვიცი აჰყვები ახალ თამაშებს და ერთ ცოდვად არ დაგემძიმები. მიდიხარ, ფიქრებს იტაცებს ქარი, გულს ყველა გრძნობა გამოერიდა. ზღვის ტალღა გიხმობს და მიიჩქარი, რომ მიიწვინო მკლავზე ერიდა. მიდიხარ, სხვებთან რა მაქვს საცილო მე ჩემი დარდი სულს მიპარტახებს, შენ ვით პანტილონს, დრო სასაცილო წელზე შეგიბნევს, როგორც არტახებს. დღეს, სხვანაირი ლურჯფერი ცაა... ნისლებში ვის სწამს მზიან ამინდის, შენი ფართე გზა, ლალატის გზაა... ჩემი გზანვრილი, ტაძრისკენ მიდის. მიდიხარ, დღეებს აღარ სწყურიათ ვარდის კოკრები ცვარით ნამული. არავინ მკითხავს, სადაურია ჩემი ცრემლები და სიყვარული.

ნარილი ებრაელ ქმან

(ქუთაისელ ებრაელობას)

დღეს ისრაელის მზით ირუჯები, კვლავ ძარღვებს გიკრთობს სული ქართული, ათასწლოვანი ძმობის ბურჯებით, ფილტვებში სუნთქვად ამონართული.

ახლა დარაჯობ სამშობლოს ღვთიურს, მოსეს მადლით და მზით ნასათუთარს და საქართველოს ზეცას მშობლიურს, გულში იხუტებ ვით ცას საკუთარს.

შალომ, ლეხაიმ - იერუშალიმ! უმღერ შენს მინას, მამულს სამზეოს. ძვირფასო ძმაო, მოგიძღვნი სალამს, რომ სიყვარული გამოვამზეო.

დღეს მეც მაკლიხარ ვფურცლავ ძველ ალბომს, ფოტოგრაფი ილოს ზღაპრის კომპიდან, ვიხსენებ იმ დროს, ჩვენზე რომ ამბობს და იმ ერთ ლუქმას, ათს რომ გვყოფნიდა.

შალომ ლეხაიმ! გნატრულობ ისევ, შენი კერით და შენი ივრითით, მწვანეყვავილას სინაგოგიდან, ლილინლილინით, რომ ჩამივლიდი.

თქვენს საფურნესთან მოვხვდები როცა, დღესაც იფრქვევა მაცას სურნელი. საფიჩხიაზე, ობოლ საფლავებს სტკივით მოყვასის ხილვის სურვილი.

სევდად ჩამესმის ყურში ყივრული, შაუმიანზე შეწყდა "თომარი". გულში მტკიცეთ მაქვს კვლავ ჩაკირული, ჩემი სამშობლო, თქვენიც რომ არის.

პიკასოს ბიჭი თეთრი ხიდიდან, კვლავ, ცრემლნარევი გაჰყურებს რიონს. შენი ძმობილი, აგერ გიცდი და მოშე რაბინი მოვიგონიოთ.

რა მოხდა მერე, შორსა ხარ რაკი, რჯულმა და მინამ გიხმო ალია და სიყვარულის წმინდა არაკი, ჩვენზე რაც ითქვა, ძმობის "ბრალია".

შალომ ლეხაიმ იერუშალიმ! უმღერ შენს მინას, მამულს სამზეოს. მაშ, შალომ ძმაო, მოგიძღვნი სალამს და სიყვარული გამოვამზეოთ.

ღამე

ჭრიჭინებს ღამე სოფლის შარაზე, მოვგავარ მთვარეს ნისლის ქათიბით ვარ მილურსმული რწმენის ყავარზე და დამაქვს სევდა სულის ყალიბით. ცხოვრების მსჯავრით გულქვა თემიდა როცა მსჯის ჩემი სიყვარის ზღაპრებით, გადმოგორდება დილა მთებიდან სადაფისფერი ღრუბლის აფრებით. რა მოვუხერხო მზერას ნაისრალს, როცა სიკვდილი რისხვას ქადაგებს. სიცოცხლეს, როგორც ძველ ხარკს ნაკისრალს,

ვიხდი და მწუხრის გზას ვაქანდაკებ. ელირლიტება ღამე ვარსკვლავეთს გულს ვერ ააოკებს ძველი ურვები, გრძნობები გულში ერთურთს ნასკვავენ და ფეთქდებიან როგორც ჭურვები. მწამს იდუმალი ზეცის მისნების, ფიქრში ათასი აზრი გნასობს. მოვა სივდილი ბნელი მიზნებით და უკანასკნელ სამსჭვალს მიმასობს. ჭრიჭინებს ღამე სოფლის შარაზე, მოვგავარ მთვარეს ნისლის ქათიბით ვარ მილურსმული რწმენის ყავარზე და დამაქვს სევდა სულის ყალიბით.

ფიქრები გზაზე

მე მოვდიოდი დაღლილ სხეულით, ტვირთით-სიცოცხლის, მხრებზე აბგებით... გზებზე სოფლები ჩანდა ეული და კაცი არვინ, რამის გამგები. თითქოს, ობლობა სტანჯავდა სახლებს და მიტოვებულ ბუხრებს სციოდათ, გზად ვიმატებდი ტკივილებს ახლებს და ძველ ტკივილებს არვინ ჩიოდა. მე მოვდიოდი, დაღლილ სხეულით და გულით, მძიმე მომქონდა დარდი. ვიყავ მაშვრალი, ვიყავ სნეული და ვინც მიყვარდა, მას არ ვუყვარდი. გზებზე გაფენილ ხალიჩებს ზღაპრის, მივაქროლებდი მარტო, კარდაკარ... ხანდახან, ვკრეფდი ოცნებებს დაღვრილს,

ნაყოფს იმედის ტოტზეც, ხანდახან... მე მოვდიოდი დაქანცულ სხეულს ებრძოდა სული, წუხდა გონება... ასე, ყველასგან ობოლს და ეულს, სხვა არ გამაჩნდა რამე ქონება. ვიყავი მონაც, მეფეც, სალოსიც... განვვლე გრძნობების ცამდე სამანი. ჯვარცმულს მაცვია, მე, მზის სამოსი და უკვდავების მხურავს საბანი...

იამზე არველაძე

ღმერთი, სამშობლო და სიტყვა „ჩვენი“

უპირველესი სიტყვაა „ჩვენი“, თვის შინაარსით მეტად მზიური, მასთან მწირია მარტოდენ „ჩემი“... უსუსური და ამბიციური.

ღმერთი ჩვენია და არა ჩემი, სამშობლო ჩვენი ტკბილი სახლია... „ღმერთი არს ჩვენთან“, თან განურჩევლად იმედის სხივით თანა გვახლია.

ღვთისმეტყველია ქართული სიტყვა, სწორუპოვარი და ზეციური... რაც ერთობლივად აქამდე გვითქვამს ისიც ჩვენი - არის ღვთიური.

გრიგოლ რობაქიძის ბიუსტი

ცხრა აპრილის ბაღში - წვიმასა და ქარში, გამოძერწილს ქვაში... მე წინასწარ გხედავ! ნოსტალგიის ზღვაში, ჩაყინული სევდა ინამება ციდან შენი ცრემლის წვეთად. მზე ქაშვეთის კედლებს, სხივთა ნათელ სვეტებს, გაბრწყინების დარად, მტრედად შეაფრინდა! მამულისკენ ნასროლ ამ ზეციურ ლტოლვას ალიონზე ვიჭერ ცის ლურჯ სინაზიდან. სულს სიამე მივსებას, მინა ზეცით ელავს, უხვი არის ზენა აქ ღმერთი არს ჩვენთან! დგახარ შორიახლო, თეთრი ტაძრის ახლო... მეციხოვნედ ისევ, დროს მოელი ნეტარს!

ვაზის ჯვრით ნინო მიგვიძღვის

ვაზო, სიმბოლო არსობის - სიმტკიცე, ფუძის სანთელი, ქვეყნად არმოშლა-გაქრობის, ქვა-ციხედ საშენ-სამთელი! მისნად ქცეულ ბავშვობის, თვალცრემლიანო გიშერავ, სანაახლის ხეებს ავშორდით, დავდივართ ფეხებშიშველა. დღეს სულ სხვა ტვირთით ასხმული, მომხედურის გადამთიელის... ჯაჭვშესამოსი მამული კვლავ მთებისაკენ მიგველის! თასი მიჭირავს ღვიძლი ძმის, ფარხმალს გვიფერავს მთიელი... ვაზის ჯვრით ნინო მიგვიძღვის სამშობლო ქრისტეს მიერით.



ივეტა პავლიაშვილი-დონსაძე

ბიოგრაფიის თვა

გვიანი შემოდგომის სუსხიანი დღე იდგა. ნისლის ბურანში მიჩუმებულ ქალაქს გულმონყალე ცა ისე დაჰყურებდა, თითქოს ჟამთა იარების მოშუშებაში ეხმარებო. მეტროდან გამოსულს, სიცივემ ჩემდაუნებურად დინჯი ნაბიჯი ამაჩქარებინა და არ მახსოვს, როგორ მოვხვდი ბაზართან. ქუჩაში, თაღებქვეშ გლუხებს სოფლის ნობათთან ერთად შემოდგომის ყვავილებიც გაეშალათ გასაყიდად. გასახარად იმზირებოდა ნამის კვართში გახვეული ფერადი ქრიზანტემები. შემოდგომის ფოთლებივით აიშალნენ ბავშვობის დროინდელი მოგონებები. მათმა სურნელმა ჩემი სოფელი და ძველი დრო გამახსენა, ბებოს პანია ეზოს შემოდგომით რომ ამშვენებდა და თავბრუდამხვევ სურნელებს აფრქვევდა ირგვლივ. ნეტავ, იმ დროში დამბარუნა - გავიფიქრე და ერთგულების სიმბოლოდ ნოდებულ ქრიზანტემებს გულუბრყვილო ბავშვივით დავენაფე მოსაფერებლად.

გზას გაუწყვეცი. ჩემი ყურადღება იმ ადამიანმა მიიქცია, ხმამაღლა რომ გაიძახოდა „ნაღდი ყველი“-ი. მანქანის საბარგული ყველი იყო სავსე. ახდელი საბარგულს თავზე კი მუყაოს ნაჭერი მოჩანდა ნარწერი - „ნამდვილი ყველი“. ნუთუ ყალბიც არსებობს? - გავიფიქრე გაკვირვებულმა.

მოეწყინა ერთდროს შფოთიანსა და ხალხსავსე ბაზარს მიღებული კარებიდანვე მოჩანდა დღევანდელი ამინდივით მოღუშული მოვაჭრეთა სახეები, აქა-იქ, კანტი-კუნტად მოსიარულე ნაღდი მყიდველი და უაზროდ მოყიდალე უსაქმური, ცნობისმოყვარე ადამიანები. ქუჩაზე, ნავის სავსე ურნებთან სანოვანის ნარჩენები ეყარა. იქვე მოფუსფუსე ჩოფურა მამაკაცი შევამჩნიე - ჯერ მოჩვენება მეგონა, მერე მისი ხმა გავიგონე, აკარაკივით ლაპარაკობდა რაღაცას - მგონი თავის თავს ელაპარაკებოდა. ურნიდან ბოთლები ამოჰქონდა და მინაზე აწყობდა. პერიოდულად ისევ ჩაყვინთავდა ურნაში და ახლა ცელოფნის პარკები ამოჰქონდა. გულმოდგინედ ახარისხებდა გადაყრილ ნივთებს და რწმენადაკარგული, სიამაყეშელახულ, ღირსებააყრილ თავის ქვეყანასავით თავმოყვარეობას უკვე აღარაფრად დაეძებდა. აი, ასე გამოიყურებოდა გიორგობის წინა დღეს „ჩვენი საწყობის მობარე“ (ვ. ფშაველა) თბილისი.

- ნეტავი, ფატი თუ ისევ ვაჭრობს ფქვილით? - გავიფიქრე და სანოვანის შესაძენად მეორე სართულისკენ ავუყვიე კიბეს. აი, ისიც - ჩემთვის ჩავილაპარაკე და მისკენ გავემართე. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც ადრე. დახლზე დაყრილ ღერღლსა და სიმინდის ფქვილს, ისევ ის ნაცნობი ტრაფარეტი ჰქონდა ჩარჭობილი - „ფატი“. დახლზე რკალად იგივე მეორედებოდა: „რაჭა-ვაჭა“, „საჩხერე-კაპანაძე გოჩა“, „ხარაგაული ლაშა“, „აბაშა-პელე“, „აბაშა მარინა“, „ჩოხატაური სოფი“. ქართული ერთ ხომ აბორიგენი ერია, რომელიც სხვადასხვა კუთხის შეილებსაგან შედგება. ფატი რამდენიმე წლის წინ ახლობელმა გამაცნო. (ისიც მასავით ლტოლვილი იყო)

თვალზემავალა, ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი იერ-სახით, ეშხითა და სიკოხტავით გამორჩეული ქალი, პირველი დანახვისთანავე ისეთი სათნო და მიმზიდველი მეჩვენა, ჩემთვის გავიფიქრე: - ამ ქალს ბაზარში დგომა კი არა, დედოფლობა დამშვენებოდა-მეთქი და ჩემს წარმოსახვაში წამიერად ხან გვირგვინით წარმოვიდგინე, ხან კიდევ კონსტანტინე გამსახურდიას შორენად. ის არც ახლა გამოიყურებოდა ურიგოდ, თუმცა, განვლილ წლებს, დუხჭირ ცხოვრებას მისთვისაც დაეტოვებინა სამახსოვრო კვალი. ალბათ, მეც ძალიან შევიცვალე - გავიფიქრე გულში. ასე თურმე, სხვამ თუ არ შეგახსენა, წლები დაგტყობილო, თავად ვერ ხვდები და შენი თავი ყოველთვის ისევ ახალგაზრდა გგონია.

ქალს ფქვილით დასვრილი დიდი ბუშლა-ტა ეცვა. სახეც ისე ჰქონდა გადათეთრებული, იფიქრებდით ფერუმარილი აცხიაო, ფქვილის მტვერით დამძიმებულ ნამწამებს კი ისე ახამხამებდა, თითქოს თეთრი ტუშით გაუხარებიაო. შუბლზე ჩამოფხატულ ჭროლა ქუდს კი ღერღილი მისწებებოდა ვარსკვლავებივით, ფატიმ ფქვილით სავსე ტომრები კუთხეში მიაჩოჩა, მაგიდა ჯერ პატარა ცოცხით, შემდეგ კი ჩვართი გადანმინდა და მყიდველის გამოჩენამდე დახლზე დაყრილი ფქვილი ხელახლა ააკოკოლა პატარა ნიჩბით. ამასობაში მეც მივუახლოვდი. ჩემს დანახვაზე წამიერად შეფიქრიანდა, მერე კი მიცნო და გაკვირვებულმა მკითხა: სად იყავით? აღარ ჩანდით, ხომ კარგად ხართ? მივიკითხე - მოვიკითხეთ ერთმანეთი. აღმოჩნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში, როგორც ქვეყანაში, ასევე ჩვენს ცხოვრებაშიც ბევრი არაფერი შეცვლილიყო, გარდა იმისა, რომ ის ახლა შვილების დედა გამხდარიყო, მე კი - ბებია. ასე იყო, თუ ისე, ცხოვრება მაინც თავის გზით მიდიოდა და ჩვენც მის სურვილებს ვნებდებოდით, მივყვებოდით დაუსრულებელ ჟამთა ბრუნვას. სიღარიბის, გაუტანლობის, უბედურების მეტი ქვეყანაში არაფერი ხდებოდა. დედამინა კი მაინც უშფოთველად, წარბშეუხრელად ბრუნავდა თავის ღერძზე, საერთოდ არ ანალვლებდა ქვეყნის ბედი თუ უბედობა.

- ქალბატონო, ეგება სურნელები გაიყოლოთ სახლში? შემომესმა ზურგიდან დაშაშრული ხმა. მერე ჩემს შედგენილ სიას გადავხედე და მუხუცებისკენ გავემართე. აქაც მყავდა დიდი ხნის ნაცნობი ადამიანები - მუხრანელი დედა-შვილი, ბაზარში მათზე უკეთესი მწნილი არავის ჰქონდა, მოკლედ, ბადალი არ ჰყავდათ თავიანთ საქმეში. ეს მათი შემოსავლის წყარო იყო, პატიოსანი შრომით მოპოვებული ლუკმა-პური. მყიდველს ისე არ გაისტუმრებდნენ, რომელიმე მუხუცეზე ზუსტი წონის გარდა, დამატებით ორი-სამი თავი ნივრის, კიტრის ან პომიდვრის მუხუცე არ ჩაედოთ მისთვის პარკში. დახლთან, სადაც დედა-შვილი ვაჭრობდა უცნობი ახალგაზრდა დამიხვდა. კასრიდან მუხუცე ამოჰქონდა, სიცივით დამჭარხლული ხელებით სწკრეტდა და სუფთა ჯამბზე გადაჰქონდა. მე ნოდარი და ქალბატონი ელიკო ვიკითხე. ნოდარი გასულია, ბებია კი გარდაიცვალაო, მითხრა ყმანვილმა. ძალიან შევწუხდი.

კიბეებს დავუყვიე. ხურდაში მოცემული ორმოცი თეთრი ფილაქანზე შეყინულ თუნუქის კოლოფში ისე ჩავაგდე, მათხოვრისთვის არც შემიხედავს. მხოლოდ მის გვერდით მოჩვენებასავით მდგარი, თავჩაქინდრული სირცხვილის ცრემლით შენაფერი სუნთქვა გავიგონე. გასასვლელში პატარა ბიჭუნა შევინძინე, სიცივისგან გალურჯებულს ხელში სანთლების შეკვრა და ღვთისმშობლის პატარა ხატი ეკავა, ნუთუ ეს ჩვენს თავს ხდებდა - ღვთისმშობლის ნიღბვედერ მინაზე, ნინოს მონათლულ მამულში. გამაფრთოლა - მასში გაძარცვული საქართველო დავინახე და იმ ნუთში ჩემი თავი შემძულდა, სიციცხლის სურვილი საერთოდ დავკარგე. შემრცხვა, სამონყალ-

ოდ ხელგანვიღო ადამიანებს რომ სათანადოდ ვერ დავეხმარე.

დამეწყრილი გულით მეტროსკენ ავივაკე. სევდიანად ნივნივებდნენ ბელურები. მომეჩვენა, რომ მრავალჭირნახად ქართულ მინას სუნთქვა უჭირდა, ყელში ბანარნაჭერილივით. სიციცხლის და სითბოს დედა-მზე კი დარცხვენილი მიმალულიყო ღრუბლის ტოტებში.

სიცივე ძვალს და რბილში ატანდა. დარდებით დაბურული ანწყოთი ნელ-ნელა მივუყვებოდი აღმართს, როცა შუქნიშანთან, გადასასვლელზე უმართავად მოსიარულე ახალგაზრდა ქალი შევინძინე, ავტომანქანების მწკრივში მიმოდოდა გულზე დაკიდული აბრით - „დამეხმარეთ!“ გათოხილ ხელში კი ბავშვის ფოტოსურათი ეჭირა, სახეზე ცრემლით შენაფერი უთქმელი სევდა და დასთამაშებდა საბრალოს. ქალს ისეთი მშვენიერი გრძელი თითები ჰქონდა, ბევრ ლამაზმანს რომ შემურდებოდა, ტანს შავი ფერის გრძელი კაბა უფერავდა, მხრებზე მწვანე ფერის ფორებიანი თავშალი ჰქონდა და მოხვეული, თავშიშველი იყო. კაბა ვერ უფარავდა თხელიძირიან გაცვეთილ ფეხსაცმელს. მის შემხედვარეს უარესად შემეცვიდა. მიახლოვებისას შევინძინე, რომ უსინათლო იყო. მრავალსმეტყველი იყო მისი სევდით ჩარაზული, უმზეოდ დანისლული, სივრცეს გადაჭდობილი, ფართოდ გახელილი თვალები. ქალი აშკარა იყო, ვერ ხედავდა, მაგრამ თვალთ გრძნობდა ყველაფერს. მივჩერებოდი გაძარცვულ მშვენიერებას, მისტიკურად მიმზიდველი მოხეტიალე სამყაროთი. პატივმოყვარე ადამიანებს კი რეალობის არც დანახვა სურდათ და არც შეგრძნება. აღარც ვაჟას ნუკრი ახსოვდათ და აღარც მოყვასი და მოძმე. რა დრო დაგვიდგა. სად არის მთის წყაროსავით წმინდა ჩვენი შორეული წარსული? სად გაქრა ჩვენი მოდემის ოდიტიან თანდაყოლილი შეუპოვრობა? უნინ მათხოვარს და თანაც ქართველს ვინ ნახავდა ქუჩაში? სად არის ქართველი კაცის ცამდე აწეული ღირსება? ნეტავი ახლა ჯალალედინი რომ დასტრიალებდეს სიონის გუმბათს და ფიქრობდეს მეტეხის ხილზე ხატის დამცირებას, რამდენი თბილისელი გასწირავდა თავს? - გავიფიქრე და გული ჯავრმა, თვალები კი სუსხმა ამინვა. სკოლაში ნასწავლი „თინას ლეკური“ გამახსენდა და მწარე ტკივილად შემეკუმშა გული. ახლაც გიორგობის თვეა, როგორც მაშინ - ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობაში.

ფიქრები სევდიან ლოცვად დაენტო გულს. მომეჩვენა, რომ დრო შეჩერდა და მორჩილად მიგდებდა ყურს. რა დღეში ხარ, ერთ დროს მაღლით, სიკეთით გაბრწყინებულ ჩემო ქვეყანავ? შენივე ქვეყანაში დევნილად ქცეული ჩემო ერო? შენივე გაზრდილებისგან გათელილო, მტრისაგან დარბეული, გაგლეჯილო მამული! გვეშველება რამე? - ვეკითხებოდი ჩემ თავს. საიდანღაც კი ჩემი მეორე ხმა ჩამეფრთხლებდა: - რას იზამ? ყველა ეპოქას თავისი ბედი აქვს, ისევ დრომ უნდა მოაგვაროს ყველაფერი, დრომ, რომელიც ქაფივით მოხდის ცხოვრებას ჭუჭყიან ზედაპირს. ცოტაც კიდევ მოითმინე, დროებითობით დამწუხრებულ ჩემო ქვეყანავ, ეგება კვლავაც დაიბადოს: თამარი, დავითი, ერეკლე, ვახტანგი, გიორგი, დემეტრე, ცოტნე და მავანნი და მავანნი. დაველოდოთ მათ დაფრთიანებას. გვეშველება, აბა, რა იქნება? მთავარია მათ მოსვლამდე როგორმე გაველოთ. ამ ქვეყნად თუ ყველაფერი დროებითი და წარმავალია, ეს გაუსაძლისობაც დროებითი იქნება. ქრისტეს ნათელი გაბრწყინდება და მკვდრეთით აღსდგება მამული. მხსნელი მოველინება მიჯაჭვულ საქართველოს, იხსნის და გარდმოსხნის.

დედამინა კი ბრუნავს და ბრუნავს და საით მიგვერეკება, კაცმა არ იცის. ჩვენ ახლა ერთი კეთილი მწყემსი გვჭირდება, რომელიც თავის დაბნეულ ფარას თავს მოუყრის, დამოდვრავს და ჭეშმარიტ გზაზე დააყენებს.

ციალა მესხი

ჩვენს საუკუნეში დიდმა ფერმწერმა, მწერალმა და ესეისტმა რეზო ადამიამ კოსმოსური სულის შემოქმედმა მაცხოვაროვით იტვირთა ჯვარი ულამაზესი სიცოცხლი-სა, ტანჯვისა, მუდმივი ბრძოლისა და „რა ექნისა“ ციხის აგებისა... ჩვენს წინაშეა კოსმოსური ინსტრენქტი მო-ბილი რომანი „მზე“, რომელიც მთელ სამყაროს იტევს. მკითხველისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ დეტალს, რომელიც დაქვემდებარებულ როლს თამაშობს მზის, კოსმოსისა და ადამიანის ურთ-იერთობის წარმოსაჩვენად. საინტერესოა მწერლის აზრი ადამიანის, ბუნების, ცალკეული საგნებისა და მოვლენ-ების ურთიერთმიმართებაზე. და მაინც: „ყოველგვარი პორტრეტი, მხატვრის პორტრეტია და არა მოდელისა, მენატურე მხოლოდ საბაბია, გარემოება“ (ოსკარ უაილ-დი). ამ პარადოქსულ ნათქვამში მესახება რეზო ადამიას როგორც შემოქმედისა და მხატვრული ნაწარმოების ურთიერთმიმართების ასპექტი, რაც ჩვენი წერილის კონტექსტში ავტორისა და რომანის მთავარი იდეის ერთგვარ შერწყმაში გამოიხატება...

რეზო ადამიას მზე არაა ცივი აბსტრაქცია, ჭვრეტა, მხოლოდ მეტაფორა, ჩვენი ღრმა რწმენით, ესაა თავდადე-ბა, სულის ნუნვა, კოსმიური ინსტიქტი, კოსმოსისა და ადა-მიანის მოკრძალებული თაყვანისცემა და დიადი განცდა... ჭემბარიტება აიცი, რომ ხეყარო, კოსმოსი, მზე, ადამი-ანი, უშუალოდ აღქმული თუ სელოენებით გარდასახული თავისთავადაა შთამბეჭდავი სანახაობა, რომ ხილული და არა უხილავი სილამაზეა ქვეყნიერების უდიდესი სასნაუ-ლი, ცხოვრების, ჩვენი ყოფიერების ერთადერთი აზრი, უცნაური მიზანი და დანიშნულება და აგერ, რეზო ადა-მიამ შექმნა წიგნი — სასწაული, თავად შემოქმედი სამ-ყაროს უსასრულობის საყრდენ ნერტილს რომ პოულობს საკუთარ თავში და კოსმიური ინსტიქტით, ნიჭისა და ინ-ტიუციის ენერგიით შობილი ტილო შემოგვთავაზა, ჩვენ-და სასიხარულოდ, თაობების განსაცვიფრებლად.

რეზო ადამიამ კარგად იცის, რომ ადამიანს მზე მუდამ სჭირდება, მზის ჰანგს უნდა გამოსცემდეს მისი სუნიქტა. ადამიანი ხომ მუდამ ილტვის იმ ბილიკისკენ, სადაც მზით აესება შეიძლება, მას არაერთი ფერ-ნერული ტილო აქვს მზელზე, აქ უნებურად გაგვახსენ-დება მისი „ჩამავალი მზე“, რომელიც ფერწერისა და მწერალ ესეისტს სხვაგვარ სამყაროს აგონებს. მაგრამ გვარწმუნებს, რომ ჩამავალი მზე საოცრად ლამაზია, მისი მოცეკვავე სხივები სიმშვიდით გვაესებს. ფერის, მდიდრული კოლორისტისა და ზომიერი კონტრასტის ფუნქტასტიკურობაა აქ, დაეტყებება შემოქმედი კოსმოსურ სამყაროში, ჰოდა, ღალადებს კოსმოსიდან გამოხმობილი სული რომანში „მზე“, სადაც სრულიად ახალი ფორმის ადამიანიზმი და მძაფრი სევდა ერთმანეთს გადაჯაჭვია... ოპტიმის სულის სხვაგვარ სრულყოფილი ძირწეას კი მხოლოდ ბუმბერაზ შემოქმედებთან თუ ვხედავთ, და აგერ, ჩვენს თვალწინ თითქოს უშეზოდ დარჩენილი ადა-მიანები რაღაც უჩვეულო თავანყვეტვებ შებმიან კოსმო-სურ დრამას.

აქვე საგულისხმოდ გვეჩვენება ადვინშნით, რომ მთელ მის ესეებსა თუ ჩანახატებში (გრაფერს ვამბობთ ფერწერაზე საკმარისია დავასახელოთ ფერწერული ციკლი „კოსმიური ქარიშხალია გალაკტიონში“ და ტერ-ენტტი გრანელზე შექმნილი სოლიდური წიგნი-მინო-გრაფია). წინამდებარე რომანში მისი მძიებელი სულია გაცხადებული და მზის, ადამიანისა და კოსმოსის ას-ტრალური საიდუმლოა ამოხსნილი. და წერს შემოქმედი ქვესკნელსა და ზესკნელზე, სამოთხესა და ჯოჯოხეთზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, სიკეთესა და ბოროტე-ბაზე და გვჯერა ქვესკნელისა და ზესკნელის, მთელი კოსმიური სამყაროს ნაზიარებელ შემოქმედის ყოველი მოხანსმი კალმისა მძღავრი და მძაფრი განწყობლებისა და კოსმიურ სულის მარადიული სახეა. დიახ, აქ ყველგან მზის სხივებით გალიცხდილებული კოსმიური უსასრუ-ლობის ლამაზი სევდაა.

რეზო ადამიას უკიდურესად აქვს გამძაფრებული სამყაროს იდუმალებაში შეღწევა, უსასრულობისკენ ზღვიტე სწრაფვა, სამყაროს ჰარმონიის მიკვლევა მისი შემოქმედებითი გაბედულების დასტურია. „რასაც გარე-განი გრძნობები აღიქვამენ, მხოლოდ ნაწილია სამყარო-სი, სულთან წილნაყარი უნდა გახდეს, რათა შეძლო მისი გამოცხადების გადმოტანა გრძნობად სამყაროში (რ. შტაინერი, 1993. 23).

„სიკვდილი სამყაროს სასტიკი, ბნელზე უკუნი და მზისსხივოანი სიცოცხლის დამორგუწველი ჩამქრობი ქმედებაა, უცხო უხილავი ფორმის შორეული მოუსაე-ლეთის ავივისებიანი თანამეზაგროვითაა ყოფილსა შავი ნერტილის დამშველი, ის უფერული და უკეთესი თავის გამოცხადებამდე, ზოგჯერ ჩავვიკროლებს ხოლმე უმძა-ფრესი და უშიშმესი განწყობილებით და მწარედ, ყრუ-ანტილის მომგვრელად შეგვანჯღრევს. მთლიანობაში ყოველ ცოცხალ არსებას შემფორთხით ერთდება მისი და რატომ, ის ხომ უსასრულობაში სხვადასხვა ფუნქციებით დედამიწის შემავსებ-აღმდგენელი და სულის სულთა სიერცემი გადაადგილების შეუცნობადი აუცილებელი მიზან-კანონ-ძალაა, ქვეყნიერების უსასტიკესი ფორმა — ფერსახეა, მაგრამ ვიპოვრებ, და მაინც სიკვდილით აღმოცენდება სიცოცხლე (რ. ადამია. 2019. 40)... როცა ამ რომანს კითხულობ, თავს სხვა სამყაროში წარმოიდ-გენ, თითქოს მარადისობის კარბჭქსთან დგახარ და ერთგვარად გაფორთვის მზის გაუჩინარება. შენც ხედავ „უზინაო ცხედრებს“, არ ხდება განაყოფიერება, არც მშობიარობა ნებისმიერი ცოცხალი არსებისა. „თითქოს ძვილი და ახალი საფლავებიც გაუგებრად აშოინდნენ და აიშალნენ, ქვესკნელის უსასრულობიდან საფლავე-ბზე შინდისფერმა კლაკნილმა უხილავმა სულმა გამაო-ცებლად სიერცემი გაიელვა, შეწყდა სტიქიური ქმედებ-და-მოულოდნელობანი, რატომაა, რომ მიცვალებულთან — მკვდართან ახლოს მისვლა ძალიან გვიჭირს, თითქოს-და რაღაცამ დაშალა, დაგირღვია სული, ორგანიზმი? იმიტომ, რომ იქ მიწა გვგვდება სიცოცხლით სავსე და მიცვალებულის მარადიული გამოქცევიტი, სიკვდილის ყოვლად განმდევნელი (რ. ადამია. 2019. 41).

უაღრესად საინტერესოადა ასახული კოსმოსის, მზისა და ადამიანის ურთიერთობა და გეჩვენება, რომ შემოქმედმა შექმნა რაღაც უჩვეულო მხატვრულ-მითო-სური აზროვნება და თავადაც კოსმოსს გაუმთლიანდა და ადამიანური სიმაღლის საიდუმლოებითაც გაგვაოცა. მთელ რიგ პასაჟებში ფანტაზია და ლოგიკური მსჯელო-ბა ისე ენაცვლება, ისე ერწყმის ერთმანებს, რომ ძნელ-იც კი ხდება დაზუსტებით იმის თქმა სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე. ჩვენ კი ალღოთი გვრძობთ ადამიანისა და კოსმოსის, მზისა და ადამიანის ჰარმონი-ისათვის ბრძოლას... და მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი გონების თვალსაწიერში ვერაფერს ვხედავთ მზის, კოსმოსისა და ადამიანის ამ სიმბოლური ურთიერთ-მიმართების ბადალს მთელი ნაწარმოების მხატვრული კონტექსტის ფონზე. მთელი რომანი პოეტური პროზის უბადლო ნიმუშია, ასეთი მეტაფორები თვით პოეზიაშიც ძნელია დაივიზნოს. ყოველი ეპითეტი, შედარება უნი-კალურია, დააკერიდით აბა მათში რეალიზებულ სახ-ეებს: „მზე, გაძარცველი ცის სიღრმე-სიგრძე-სიგანის განზომილებაზე არ ჩანდა. დედამიწა ფერმეცვლილი,

მზე, კოსმოსი და ადამიანი

(რზო ადამიას რომანი “მზე”)

სხეულდაუყუცილივით, გაბუტული ეკიდა სიერცემი და ნაღვლიანად დუმდა რაღაც დაუღვენელს, გაურკვევე-ელი, ჯერგაუგონარის, არქაული ფიქრითიქითა აზრით სიშორიდან ან მოახლოებული მძაფრი მოვლენების შეგ-რძებნით“ (რ. ადამია. 2019. 71).

„რეზო ადამია ფერმწერია და სწორედ ფერწერა დომინანტობს რომანში. აი, თურმე რატომ ხატავდა ბა-ტონი რეზო ამომავალ და ჩამავალ მზეებს. ეს მზეები შემზადება იყო მზემდე მისასვლელად.

ამ რომანის უმთავრესი პრობლემა არ გახლავთ ლოკალურად ერთი ქვეყნის ურბლემა: იგი მსოფლიოს პრობლემაა, თუმცა ნაწარმოები უაღრესად ეროვნულია აზროვნების სტილით და ენობრივ-მხატვრული აქსესუ-არებით“ (რ. მიშველაძე. 2018. 7).

რეზო ადამიას მხატვრული აზროვნებისთვის და-მახასიათებელია ექსრესიულობა, საოცრად მაღალია რომანის ესთეტიკური პოტენციალი. მოვლენების დინების პარალი-ლურად წარმოიქმნება ახალი დინება ემოციებისა და განცდებისა, მხატვრული პროზის რაღაც უჩვეულო სიმაღლე, პოეზიას რომ უახლოვდება, მთელ რომანში მკითხველის თვალწინ პოეტური ხატსახეები ანათავს... მომავალდებელია რეზო ადამიას მეტაფო-რის, შედარების სიმბოლოს პრიზმაში გადამტყდარი სინამდვილე. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინამდებარე რომანში მხატვრული ხატი უფრო ლამაზ-სა და მიმზიდველს ხდის სიტყვით გამოხატულ ცნებას, მთელ რომანში აზრის სიღრმე ფორმის სისადავეს ერწყ-მის, უფორქმედად უკანასკნელ წევთამდე ჩაწურა ამ წიგნ-ში მთელი მისი ასოცია-ციური აზროვნების პოტენცია-ლი. ჭემბარიტებაა ისიც, რომ ბიბლიური ასოციაციების გარეშე ენობრივი ხატი ვერ იქნება ძლიერი ინფორმაცი-ის წყარო. უნებურად, „წოდარ დუმბაძე გაგვანჯღვდება: გვიანია!.. — თქვა მზემ და ცალი თვალი ჩაუქრა“.

„მზემ სუნიქტას მოუხმრა, ახლა იგი ძლივსღა ფთჟყვება, მხოლოდ ცალი თვალით გადმოსცქეროდა ქვეყნიერებას“.

„მზემ უკანასკნელად გაიბრძოლა და მეორე თვალიც ჩაუქრა“ — აქ მხატვრულადაა მოტანილი მზის სიკვდი-ლი და ამ სიკვდილთან და ამ სიმბოლოს ისეთი სპეციფი-კური დეტალი, როგორიცაა სიმბოლიზირებული მზის თვალები!“

„მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო! მზე მიიცვალა ღია თვალებით! ის მიიცვალა რაღაც უმწეო და საოცარი გარ-დაცვალებით!“ (გალაკტიონი).

რეზო ადამია მიგავიშვებს რომ სიკვდილი მზისა, მისი ჩაქრობა ადამიანის სიკვდილის მომასწავლებელ-იცაა. ადამიანის უდიდესი სევდის გამოხატულებაა მზის გაუჩინარების გამო „ახალი აღთქმა“ კონტექსტში პოე-ტობს ანალოგს. „და დაბნელდა მზე და გაიპო კრეტსაბ-მელი ტაძრის მის შორის“ („ახალი აღთქმა“. 1988. 23).

და ხმა-ჰყო ხმათა დიდითა იესო და ჰრქუა: მამამო! ხელთა შენთა შევაგდებუ ზულსა ჩემსა და ესწრეთ მსოქუა, განუტევა სული“ და კიდევ: „ღამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდება არც სახალღაოს გუჯი და არც მზის ნათე-ლი, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუწათებს მათ და იმეფებენ უკუნით უკუნიხამდე!“ (გამოცხადება. 1998. 22).

რეზო ადამიას რომანში, მთლიანად მის შემოქმედე-ბაში მზეს, სინათლეს ძალიან დიდი იდეურ-ემოციური დაბტვირთვა აქვს. დიდია და უსამანო რეზო ადამიასუე-ლი ცნების, მკვდარი მზის ესთეტიკური ღირებულე-ბა. ასე გმონა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისკენ“ მიემართებიან ის ასოციაციები, როცა მწერალი ამ სა-გნებისგან შექმნილი სიმბოლოში გვიხატავს ადამიან-ის სულიერ სილამაზეს: „მეცნებოდა სიშორე, მისი ბროლ-ბადაბუ-მინისა, მე გამიახლად სოფელი, მქონდა სიმრავლე ლხინისა, ჩუმად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ წაჩინისა, ან მიკვირს, მისი გამყრელი გული მიც კლდისა ტინისა“...

მზის უჩვეულო ესთეტიზაცია რეზო ადამიას რომან-ში მხატვრული, მეტაფორული აზროვნების სტრუქტურ-ის თავისებურებით ჩვენი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ასოციაციას იწვევს. და მაინც მის მიერ შექმნილ სურათი ორიგინალურია და ექსპრესი-ულობით გამოირჩეული.

მზე შემოქმედის სულის ოაზისაა, ყოველივე ძვირ-ფასის ხატი და სიმბოლო. „ადამიანი პატარა სამყაროა, მიკრო ორგანიზმი“ გვარწმუნებს ბერდაივი, უფრო მეტ-იც ჭემბარიტი შემოქმედება ყოველთვის გულისხმობს ტრანსცენდენტურისკენ ლტოლვას, ამქვეყნიური საზ-ღვრების გარღვევას... რეზო ადამიამ ლიტერატურულ სიერცემი სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა. თვალ-ვერ გამოირებთ ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიური ფიქრე-ბის უჩვეულო მდინარებას, ფიქრობთ, ეს რომანი მხატ-ვრისა და მწერლის სულისა და გონის, კოსმიურ სიერცე-

ში სრულყოფილების ჭემბარიტი გარანტია. ერთობ ძნე-ლია გაშიფრო ამ ქმნილების ზოგადი სახე, მისი კოსმი-ური დანიშნულება და მაინც, გვეჩვენება რომ მთლიანი კოსმიური სამყაროს სურათ-ხატია ეს წიგნი, მისტიკისა და რეალისტის დაპირისპირებით ავტორი რომანის დრა-მატულობის საოცარ ეფექტს აღწევს. იგი მკითხველსაც უხმობს ამ ბრძოლაში, რომელშიც ადამიანის გმირული და შემარბილი სული, მისი რწმენა რეალურ, მითიურ სინამდვილეში, ჭემბარიტებაში, სამართლიანობაში, ძმობაში, თანასწორობაში განსაკუთრებული სიცხადითა და დამაჯერებლობით ვლინდება.

ეკითხულობთ წიგნს და თვალწინ რიალებენ მითიუ-რი პასაჟები და მწერლის აზვირთებული ჰეროიკული სული მზის — სიცოცხლის მარადისობის სიმბოლო-არსში გვახედებს, შეუძლებელია იმის გააზრებაც კი თუ რას წარმოადგენს მზე რეზო ადამიასთვის: ნაწარმოე-ბის თითოეული თავი, გვარწმუნებს, რომ რეზო ადამიას შემოქმედებში უფლის ხელი ურევია, დიახ, „ანუ ნაწარ-მების სიღრმეში, სამყაროს უსასრულო განსტემა და მისი მძღავრი უზენაესობა“ (რ. ადამია).

მწერალმა ჩვენამდე მოიტანა უხსოვარი დროის ყრუანტილის მოგვერელი შემოქმედებითი უშუალობა და სულის პირველყოფილი ეგზოტიკაც.

ნ. ტაბიძე წერს: „რევაზის ესეები ფერწერული სუ-რათების კარს მიღმა დუმილის ფარდის ახდა და მათი გამონათებაა, ფერწერული ქანდაკების შედევრებში გამარადილებული სულის ამ სახით დასურათხატება. ვიტყვიდ იმიჯითობაა. ავტორის უფაქრესი გააზრების სეროზე განსაკუთრებული თვალყურად და გონებაა მის-ადევნებელი“ (ნ. ტაბიძე. 2011. 6).

რეზო ადამია კოსმიური სულის შემოქმედია, მას გალ-აკტიონივით ადამიანები მზის ბინადრებად მიაჩნია. მზე, მთავრე, კოსმიური სამყაროს ათასობით მანათიბელი მისი სულის თანახარია. მისი რწმენით მზე სამყაროს იდუმ-ალებისგან შექმნილი მცენება და ამიტომ განსაჭვრეტად მომავლის ათასწლეულებს უნდა გადავაბაროთ.

მზე რომანის გლობალურ კონტექსტში კაციობრიო-ბის მეტაფიზიკური მსაჯულია, ხოლო მისგან მიტოვებუ-ლი ეკავიერობა უკეთიერობისა და ბოროტების მსაჯული მთლიანად მისტიკური ელემენტებისგან შედგება რეზო ადამიას მზის სიკვდილი. „სული ისეთი იდუმალი ძაფე-ბითა დაკავშირებული კოსმოსთან, რომ ეს უკანასკნელი პირველ დიაგრამად შეიძლება ჩათვალო. ადამიანი პა-ტარა სამყაროა, მიკროკოსმოსი (ნ. ბერიდავი).

რეზო ადამია ჭემბარიტი ქრისტეანია, რომლის იდეაც გახსნილია ემოციებში, რომანის ფურცლებზე, სიუჟეტში, კომპოზიციაში, ადამიანთა ხასიათებში, სიმ-ბოლოში, ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტებს სიცხა-ზე რომ დაგვიტოვას, ისინი ერთმანეთს აცისკროვნებენ ალმასის თვლებით... და მაინც, ამ რომანის პერსო-ნაჟები მეტად თავისუფალი და უჩვეულონი არიან. აქ არიან მღვდელმთავრები, პატრიარქები, მეზადრავები, პროკურორები, ხალხი და ერთი მეტად საინტერესო პერსონაჟი ხატმწერი ბერი, რომელსაც მზისა და ჯვა-რის ერთობლივი გამოხატვა გადაარჩენს. რიონ მე-ტრეველი წერს: „ამ ბერს თავის მრველში გამოჩნეული ახალგაზრდა ჰყავდა. იგი ღარიბი იყო, მაგრამ სულიერად მრავალ მდიდარზე უფრო კეთილშობილი, უხიავ ურწმუ-ნოვანისთვის შეუფერებელ სიზმრებს უწიოდა და როცა მან თავი ევლარ დააღწია, თავად გამოიტანა განაჩენი — ჩამომხვრებია ნახვს (აქაც იმძალდა სატანამ) ეს აშბავი მზის დაგვიანების წინ ერთი დღით ადრე მოხდა. თავის თავს ადანაშაულებდა — როგორ ვერ ჩაწვდი ამ ფარულ ცოდვას — ემბაკეულ შემოსევებს(რ. მეტრეველი. 2019). ნებისმიერი მხატვრული სახე, ნებისმიერი ცხოვრები-სული სიტუაცია, რომელზეც მოგვითხრობს მწერალი (მისტიკურ სამოსელში) თავისთავად შეიცავს უჩვეულო თემას და მის იდეურ შეფასებას და მაინც, რეზო ადამიას რომანში მზის სიმბოლო განსაკუთრებული ხედრითი წონა აქვს. რომანში საინტერესოადა მოცე-მული მზის სიკვდილი, მზის გაუჩინარება, უმზეობით გა-მონეველი ტრაგეზია. აი, თუნდაც, ახალდაქორწინებუ-ლი წყვილი სარცევლს მოშორდებიან და ფანჯარას მი-ადგენენ. ვაჟი აფორიატებულია, მუეულესი აფრთხილებს: „ამ უმძაფრეს მოვლენებთან ერთად არ მომწონს ჩვენს ირგვლივ გამოძინადე! სტიქიური ეს განწყობლება, შუ-რიგე — ანანო! ახლავე გულმკერდზე შენი ცისფერი კაბა აიფარე და ძუძუებს გაუფრთხილდე!“ (რ. ადამია. 2019). მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი და მაკვლდებულებელი მწერლის აზრი ამის თაობაზე: „ქვეყნიერების მანათიბე-ლის უთავალღე კეთილი ელემენტი ხომ დედის ძუძუშია ჩაქოვლია“ (რ. ადამია. 2019. 42).

უმალღესი მხატვრულობითაა მოტანილი მზის გაუჩ-ინარება და მისი გავლენა ადამიანებზე: „დფრთხენ და დაიბნენ შათესი, უკეე მიბნედილი შუქ-ჩრდილი, მოიშალა მათი უზენაესიღე და კანონებული მიმდევ-რობით მოძრაობა-მოქმედებები. საშინელმა უმოძრაო-ბამ ქვეყნიური ელფერი დაუკარგა, სადაცაა, აღმესა და დღეს შორის განსხვავება უკიდურეს ნაშლამდე მივიდა, სინათლის წყარო, ფორმა, ფერი და არსი წარმოუდ-გენელ გაცუბების მიუახლოვდა, გაურკვეველი სიერ-ცის ვარსკვლავთური დაუდგენელი თავებურდამხვევი ასტრონომიული განზომილება ეუფლებოდა ურთულე-სი მოვლენით შეკუმშულ ბნელში ჩავარდნილ ქვეყანას“ (რ. ადამია. 2019. 66). ა მიუხედავად იმისა, რომ მზე სამი დღით არ ათობს დედამიწას, მაგრამ მწერალი მთელი ძალისხმევით გვაგრძნობინებს უწყევტსა და მარადი-ული კავშირს მოვლენებისას. „ყოვლად საკვირველი და გამაოგნებელი ვარსკვლავების უდიდესი შემოქმედები-თი მოძრაობა, რომელიც უზომო სიკეთისა და სიყვარუ-ლის ფონზეა განდენილი, ხოლო ბოროტება ამ გარემოე-ბაში როგორ ინარუნებს თავის თავებურად ფუნქციას და ქმედებას, ეს კი საკითხავია. ეშმაკი ხომ ყველგან ლა-ჩრულად იპარება და ხშირად თავისას აღწევს (რ. ადამია.

2019. 27). მწერალმა მზის ფენომენის არსი ბიბლიურად გახსნა და მოწუსხული ვრჩებით ავტორის განწყო-ბილებით, აქ სულის საოცარი დინამიკაა, მწერლის შინა-განი სამყაროს განწყობილება და სრული კოსმიურობა ცის თავანამდვა აზილულო.

არ შეიძლება არ დაეთანხმო შემოქმედს, როცა წერს „სიცოცხლის მარადიულობა-ჩაუტკრობლობის მასულდგ-მულებელი მთავარი კვანძი თუ უხილავი ძაფთავანი, ანუ მშვენიერებისა და სილამაზის ცისფერი მომავლის კაპილარი, მალული, იდუმალი და ზეციური მრავალ ელემენტნარევი წმინდანური ინტიმით კოსმიური სილა-მაზე ძუძუებზე გადის და ამიტომაცაა ადამიანები გან-საკუთრებით უფრთხილდებიან და მოკრძალება-მონი-ნებით ექცევიან მზისხებ ირმის რძის ფერთომოფენი უწყინარ და უნაზეს ნახევარფეროს, რადგან ქალის სხეულში თავისი ფორმით და თვისებით ყოვლისმტევე-ლი მზეა ვადნოსული, თითქოსდა ფარული შიში, რიდი, განწმენდილ-მოკრძალებული ლტოლვა და სულიერად ამაღლებული ხედვაა მისდამი (რ. ადამია. 2017. 42).

როგორც რომანიდან გვეხულობთ სამი საათი არ ჩანს მზე, ამ ხნის მანძილზე მწერალი ბორგავს, შფოთავს და გვაგრძნობინებს, რომ სხვაგვარი დაყურადებაა საჭ-ირო მზის მიმართ. კითხულობ და ქვეტექსტებით, მინიშ-ნებებით გრძნობ თუ როგორ ანთია შემოქმედის სულში მარადისობის მზე. სიყვარული სილამაზე და მშვენიერე-ბა. რად ღირს მარტო ის ადგილი, როცა მწერალი ქალზე, დედაზე საუბრობს და აქვეტირებას აკეთებს ხატზე „ღმრთისმშობელი ყრმით“. „როგორი ბრწყინვალე სიღ-რმეებითი გაულფრებით, მონიწებითა და სწმინდითაა შესრულებული მშობელი დედის და მხსნელის ზეციურ რძით სავსე მცირე სამყაროს მონაკვეთი, რომელიც ფრთხილი და ზნეობრივად წმინდა ხატმწერლებისგანაა ქმნილი. ის ხომ განსხეულებული სიცოცხლის სულიწმი-დად ამოძაბული სავსე მზეა, იესო ქრისტეს-მაცხოვრის გამზრდელ-მაცოცხლებელი მშობელი დედის კოსმო-გენური წმინდანური მთლიანობის სახე ღმთისმშო-ბელშია გაცხადებული, ბუნებაში უფრო დიდი კეთილი ფორმა, ვარსკვლავთური ზნეობრივ ინტიმით ფეთქვა და წმინდანური სიყვარულით ქვეყნიური გზავნა არ არ-სებობს (რ. ადამია. 2019. 47).

და მაინც საინტერესო დეტალი, რომელიც რომანში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მზის დაბრუნებაა დედამიწაზე. ამ დეტალს უდიდესი იდეურ-ემოციური დაბტვირთვა აქვს. თანდათან ვითარების განვითარე-ბის საერთო ფონზე მზის სიმბოლო ექსპრესიულობის უდიდეს მასშტაბებს იძენს: „ეკლესიების ზარების ხალი-სიანი გუგუნ-რეკვა და იმედით სავსე გაბაზულ ხმათა ზე-ცისკენ შეძახილები გაისმა და საყოველთაო დაღუფლუ-საგან გადაარჩენილი სრული ხსნა ეუნყა ქვეყანას. ფერი და ბგერა საამოდ გამოიკვეთა ზეცაზე. იზიემეს აურაცხ-ელმა ვარსკვლავებმა, მთავრემ, მზემ თავად დიდებულ-მა, და უჩვეულად ვარსკვლავთური ბრწყინვლება იწყეს, მიუწვდომლად კიდევ რაღაც წარმოუდგენლობა ხარობ-და შორეულში... (რ. ადამია, 2019. 111).

რეზო ადამიასათვის მზე ყოველივე საუკეთესოს ხატი და სიმბოლოა. აკი გალაკტიონიც მზეს პოეტთა ღმერთად მიიჩნევდა: „ჩვენ პოეტები, მზიდან ვეშვებით და ვცხამთ ცეცხლოვან აზარფემებით მზის სადღაგრ-ძელოან...“ კითხვობს ნაწარმოებს და თითქის უკვე იქ ხარ, ვარსკვლავეთში და აშკარად იკვეთება უმთავრესი უდიდეს საიდუმლოებათა სავსეობა სიცოცხლისა და სუ-ლის ფრესკიდან გადმოფარფავებელი მთავარ ანგელოზ-თა თუ სერაფიმთა გარინდული სახეები.

საგულისხმოა და ანგარიშვასანვეი რეზო ადა-მიას მეტაფორული სამყარო, მისი მხატვრული სახეები გვანცვივრებს მოულოდნელობით (ვფიქრობ პოსტმოდ-ერნისტული მოულოდნელობით) მთელი ტექსტი ღრმა ტროპული სახეობრობითაა რეალიზებული.

დუმილის ესთეტიკასთან, იდუმალელებთან თანა-ზიარობა მწერლის შინაგანი მოთხონილებაა. რეზო ადა-მიამ ფერწერა და პროზაში სასწაულო მოახდინა, მთელი კოსმიური სამყარო გაიშინარა, სიკეთის, მშვენიერების, სილამაზის მარადიული ჰანგებით აახმიანა ჩვენი სული. ფერმწერისა და შემოქმედის მაღლიანი კალმის ქვეშ ყვე-ლაფერი ცოცხლობს, და გვეჩვენება „შესამე ვალით“ ხე-დავს კოსმიურ სამყაროს, თითქოს უფისესულზე უსყვინა მთელი პლანეტარიუმი და ფარდას ხდის რეალობას, კერ-ძოდ, როგორ ექანება კაციობრიობას წყვიდადი და როგორ სპობს დედამიწას. თითქოს დროც იწი მიდის და სრულ-დება სამყაროს კანონი... და უნებურად ისევ გალაკტიონი გავგახსენდება: „ეშვება ფარდა, დედამიწის ეშვება ბინდი, რომლითაც უკრუნებლად წუხდა რემბრანდტი, ლანდი რომლითაც ბოტიჩელი ირდილებოდა და ფარავდებ და-ღალულნი პოეტის შელლის“ (გ. ტაბიძე. 1977. 75)...

მისტიკის ელემენტებითაა გაჯერებული რეზო ადამიას „მზის სიკვდილი“. მწერლის რწმენით სამყარო, დედამიწა, პლანეტების ბუნების მრავალგვარი ფენომე-ნები დაკავშირებული არიან ადამიანის სულთან, მის ბედთან, სული კი იდუმალი ძაფებით კოსმოსთანაა დაკა-ვშირებული. რეზო ადამია სიკეთით, თავისი ხმით, თავისი ხატებითა და ზნანებით, მზის დედამიწაზე დაბრუნებით ამარცხებს ბოროტებას და სწორუპოვარი გრძნობებით გვიხატავს მზით გვანსკროვნებულ სამყაროს, უფრო მეტიც მთელი კოსმოსი ქალის გულმკერზე დააქუნა... და შექმნა წიგნი სასწაული, თავად შემოქმედი სამყაროს უს-ასრულობის საყრდენ ნერტილს რომ პოულობს საკუთარ თავში, უცნაური და უჩვეუ

ჯაბა ქვლივიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ჰ ქ ვ ი ა

და იქ, სადაც ცა ხმელეთს უღიმის, დიდ, ლამაზ მზეს ცხრათვალა ჰქვია. სადაც ღამით ვარსკვლავები მღერიან, იმ ქვეყანას საქართველო ჰქვია. სადაც თერგი მოქუხს, მოგრილებს, ქალწულ ნინოს ფეხი დაუდგია. ვაზის ყლორტით ჯვარი აღუმართავს, იმ ქვეყანას საქართველო ჰქვია. სადაც ერი შობილგანვე მღერის, იავნანა მისი აკვანია. გლეხი კაცის მრავალჟამიერი, იმ ქვეყანას საქართველო ჰქვია. სადაც ყველგან ყოველთვის რთველია, ვაზის სუნთქვა თვითონ ქა--რთველია, სადაც ღვინო ქვევრებიდან მოჩქებს იმ ქვეყანას საქართველო ჰქვია. სადაც სტუმარს სიხარულით ელიან. მოყვასისთვის კარი არის ღია, სადაც ძმობის ფიცი ურყევია, იმ ქვეყანას საქართველო ჰქვია. სადაც გმირები იბადებიან, სახელი ხომ მათი უკვდავია. სადაც ღამაში ამაყი ჯიშია, იმ ქვეყანას საქართველო ჰქვია. და ვინც მოდის, ვერ თმობს, ვერ ელევა, ერთი ნახვით შეყვარებულია. მასზე ზღაპრებს, საოცრებებს ყვებიან, იმ ქვეყანას საქართველო ჰქვია. ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, იქ ხომ უფლის კვართი ასვენია. იმ ქვეყანას გაუმარჯოს, ხალხოო, მას, რომელსაც საქართველო ჰქვია.

ზურაბ მამულაშვილი

გვინატრები

ამერიკაში მცხოვრებ ჩემ დისშვილს მაია ბეჟიკელაშვილს

დილით ადრე, ცისკარი რომ გაანათებს მთის მწვერვალებს, ის შუქია, რომ გვახსენებს მონატრებულ მაგ შენს თვალებს. მერე მზეც ამობრწყინდება, გადააყრის სხივებს ველებს, ის სხივია, რომ გაგითბობს მაგ გულსა და ნატიფ ხელებს. ბინდისას კი ბადრი მთვარე, რომ აკინძავს ცაზე ღრუბლებს, მაგ შენ სილამაზისათვის გული კიდევ დაიქუხებს. მერე ჩემი ლექსიც მოვა შეგაქებს და აგალმერთებს, შენ დღევანდელ დიდ ოცნებებს მომავალთან შეაერთებს. უფრო მეტად გვინატრები შენ მიწაზე, რაც დრო გადის, საშობაოდ გელოდებით კახეთისკენ შენ და რადის.

თინათინ ბარამიძე

სიჭარბის დღესასწაულს გილოცავთ!

ბატონო რევაზ! გულით და სულით გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსშესანიშნავ სიუბილეო თარიღს, თქვენს ძვირფას ოჯახთან და ახლობლებთან ერთად გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას, კეთილდღეობას და სულიერ მხნეობას. „ნუმც მოგეშალოს შენი მამულის ფესვი, სიმღერა და ყველა წმინდა...“ არიან ადამიანები, როგორ აღმატებულ ხარისხშიც არ უნდა მოხსენიო, არ გადააჭარბებ... ასეთ ადამიანებს ეკუთვნის გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ბატონი რევაზ მიშველაძე. ბატონი რევაზი თავის პიროვნული თვისებებით, პროფესიონალიზმით, მაღალი ზნეობით, მოქალაქეობრივი ღირსებით ერთ-ერთი პოპულარული და აღიარებული პიროვნება გახლავთ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ... განგების ნებით ბევრ საინტერესო პიროვნებას შევხვდი ჩემს ხანგრძლივ ცხოვრებაში. ერთ-ერთი მათგანი ბატონი რევაზია. მასთან დამაკავშირა ცნობილი მწერლის, დრამატურგის და პუბლიცისტის კიტა ბუაჩიძის შემოქმედებამ. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია, მწერლის ხსოვნის საღამოები, საიუბილეო ღონისძიებები ჩატარდა ბატონი რევაზის და მწერალთა კავშირის მესვეურების ხელდასმით (იხ.ქვემოთ), ამ შემთხვევაში მადლობა ეკუთვნის ბატონ კიტას... ბატონ რევაზთან ურთიერთობისას ყურადღებას იპყრობს ის დიდი სასიცოცხლო ენერჯია, რომელიც მას განგებამ ჭარბად დააბერტყა. ამას ადასტურებს მისი გასხვივონებული სახე და მისი პიროვნება მთლიანობაში. იგი ეკუთვნის იმ იშვიათ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ანთებული გული და აღტაცებული სული, რაც მაღალი სულიერების ნიშანია და ღვთის მიერ ბოძებული თანდაყოლილი ნიჭია. ღვთის მიერ ბოძებული აგრეთვე ის გამჭრიახობა და სიბრძნე, რომელსაც იგი პირველივე წარმოქმნილი ფრაზიდან ამჟღავნებს. იგი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც წვრილმან მოვლენებზე არ ამახვილებენ ყურადღებას, რადგან მონოდებულნი არიან უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის. ადამიანის საუკეთესო მახასიათებლად ითვლება, თუ როგორ რეაგირებს, როგორ იტანს იგი დაბრკოლებებს და სიძნელებებს. აქ ბატონ რევაზს და მწერალთა კავშირის მესვეურებს ზოგადად (მხედველობაში მყავს ქალბატონი მაყვალა გონაშვილი) ბადალი არ მოეპოვებათ. მხედველობაში გვაქვს ის მძიმე დღეები, რომელიც მწერალთა კავშირს დაატყდა თავს (და არა მარტო მწერალთა კავშირს). საუბარია მიმდინარე რეფორმებზე და რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემებზე. აქ ბატონმა რევაზმა და მისმა თანამოზიარე კოლეგებმა გამოიჩინეს გმირობის ტოლფასი გამძლეობა, სულიერი მდგრადობა და ყველაფერი ილონეს, რათა მწერალთა კავშირს არ დაეკარგა თავისი სახე და ფუნქცია. მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ყოველივეს და დღეს მწერალთა კავშირი, როგორც არასდროს განაგრძობს თავის ფუნქციონირებას -- ტარდება წიგნის პრეზენტაციები, საინტერესო

შეხვედრები, ხსოვნის და საიუბილეო საღამოები, ბატონი რევაზი რედაქტორობს „მწერლის გაზეთს“, რომელიც საუკეთესოდ არის შეფასებული.

ამ ცოტა ხნის წინ, ა.წ. 2 ოქტომბერს მქონდა ბედნიერება მწერალთა კავშირის დიდ სააქტო დარბაზში ბატონი რევაზის დახმარებით და უშუალო მონაწილეობით ჩაგვეტარებინა ჩემი დიდი მასწავლებლის აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის ხსოვნის საღამო რუბრიკით: „რუსეთში მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები“, რომელიც ჩატარდა ბატონი რევაზის დახმარებით,



გვერდში დგომით და მონაწილეობით. დიდი მადლობა მას ამისათვის.

ბატონ რევაზთან ყოველი შეხვედრა წარმოადგენს ადამიანებთან ურთიერთობის ოსტატობის საუკეთესო ნიმუშს. საუბრისას იგი დიდ ანგარიშს უწევს მოსაზრებებს ყველა საკითხთან დაკავშირებით, მას გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ დადებითი პასუხი და ბოლომდე გვერდში დგომით და თანადგომით სრულდება საქმე. კიტას ასე წლის საიუბილეო თარიღი, რომელიც მწერალთა კავშირის მესვეურების პროექტით ჩატარდა, მთავარი წამყვანი და მომხსენებელი ბატონი რევაზი გახლდათ. დიდი მადლობა მას ამისათვის.

ჩვენს საიუბილეო მრგვალ თარიღთან დაკავშირებით (საიდუმლოდ უნდა გაგანდოთ, რომ შემისრულდა 90 წელი), ჩემი დიდი თხოვნის თანახმად ბატონი რევაზი დამთანხმდა თამადაობას (იმ საღამოს მის თამადაობას სამი მაგიდა ელოდა...).

თამადაობით საქართველოში ძნელია ვინმე გააკვიროვო, მაგრამ იმ საღამოს რაც ბატონმა რევაზმა გამოამჟღავნა, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს იყო სუფრის თამადაობის ნამდვილი მასტერ-კლასი. რა საკვირველია ყოველივე დაფიქსირდა კომპაქტურ დისკზე და შეიძლება ვისწავლოთ, როგორ არის საჭირო სუფრის გაძღოლა ისე, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს... თითოეული სადღეგრძელო, თითოეული ფრაზა მის მიერ წარმოქმნილი იყო: „ღვთაებრივ დონის, უწონო ნონის სიტყვა აწონილი“... სიცოცხლე და მრავალჟამიერი თქვენ, ბატონო რევაზ!

ახლა მიზანშეწონილად მივიჩნევ მოვიყვანო მხცოვანი მწერლის პუბლიცისტის და დრამატურგის კიტა ბუაჩიძის ბარათი „უურნალ კრიტიკის რედაქტორს ბატონ რევაზ მიშველაძეს“ ...

ბატონო რევაზ! ვფიქრობ, დიდსულოვნების გრძნობა არც ახლა გილატებთ და არ გამკიცხავთ საძრახისი უმადურობისათვის; თქვენთვის მადლობა განა, აბა, ასე დავგვიანებით უნდა მომეხსენებინა იმ მწერლური სიკეთისათვის, რაც თქვენ კარგა ხნის წინათ გამოიჩინეთ ჩემდამი, იმ ავტორისადმი, რომელიც თქვენს კაბინეტში მოუხსენებლად რომ შემოვიდეს, ვერც კი იცნობთ.

ალბათ უკვე მიმიხვდით: მე მხედველობაში მაქვს ჩემი ბოლოდროინდელი ნაწერ-ნათიხნი, რომლებსაც თქვენ, ათვისტმა კაცმა ჯვარი გადაწერეთ და ქრისტიანულად გ ზა დაანათლეთ ყურნალ

„კრიტიკის“, საერთოდ, პილპილმოყრილი ფურცლებისაკენ...

ასე, მაგალითად, „კრიტიკის“ მეშვიდე ნომერში ერთი მზა მასალა სასწრაფოდ ამოაგდეთ და ჩემი ჩასვით - საკმაოდ მოკრიტიკო ღია წერილი პროფესორ შალვა ამონაშვილისადმი და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბატონი შალვა თქვენი ახლო მეგობარი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ახლო ნაცნობი იქნება მაინც.

თქვენ ასევე არ მოერიდეთ მინისტრსა და პროფესორს დავით ჩხიკვიშვილს და ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, მინისტრობისას, „ბუთქეთ“ „კრიტიკის“ მერვე ნომერში ჩემი არსებითად უწყინარი ეპისტოლე მისდამი. და რაც ყველაზე უფრო საკვირველი და საოცარია და რაც თქვენს ქრისტესებრ თავდადებაზე და მოუსყიდველობაზე მეტყველებს, თქვენ, არა როგორც მხოლოდ რედაქტორი, როგორც დრამატურგიც კი არ მოერიდეთ თქვენთვის ასე საჭირო რეჟისორების, პირველ რიგში მძლეთამძლე რობერტ სტურუას და თემურ ჩხეიძის მომდურებას და არ შეეპუეთ, ალბათ თქვენი აზრით, ჩემგან მათ უსამართლო განქიქებას და „კრიტიკის“ მეცხრე ნომერში ქათქათა ადგილი მიუჩინეთ ამ რამდენიმე წლის წინ დაწერილ და ამ რამდენიმე წლის მანძილზე სხვა, თავის ატკივებისგან დაზღვეული რედაქტორების მიერ გვემოულ-წამებულ „საით მიექანება ქართულ თეატრს...“

და ეს კვლავ მიუხედავად იმისა, რომ თქვენ, როგორც პროფესიონალი თეატრალი, არამგონია იზიარებდეთ მასში გამოთქმულ ჩემს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არგენტინა-ავსტრალიის ტაში სულაც ვერ შეაყოვნებს ქართული თეატრის არქარებულ სვლას ღრანტესაკენ!

სავარაუდებელია, რომ ამ თქვენს რედაქტორულ გულადობას უთუოდ ხელი შეუწყო ახლა ჩვენში აზრთა პლიურალიზმის ასე ჩინებულად დაკვირვებამაც.

ამჯერად, ბატონო რევაზ, გიგ ზავნით დასასტამბავად კვლავ ღია ბარათს, ამ შემთხვევაში გაზეთ „თბილისის“ დროდადრო დროებით რედაქტორისადმი და ვიმედოვნებ, თქვენ თუმცა ქალბატონ ნარგიზა მგელაძისათვის დიდად სასურველი ავტორი ბრძანდებით, მას მაინც გამოაქვეყნებთ უშიშრად და უკანმოუხედავად „კრიტიკის“ თუ მორიგ ნომერში არა, აბა წლის დამატებით მეცამეტე ნომერში მაინც, რისთვისაც შესაძლო რეცედივის შიშით შეპყრობილი, წინასწარ გიხდით მადლობას.

მუდამ თქვენგან გახარებული კიტა ბუაჩიძე. 16 დეკემბერი 1988 წელი.

როგორც ბარათიდან ჩანს ბატონი კიტა გაკვირვებას ვერ მალავს რევაზ მიშველაძის მიერ სამი საკმაოდ კრიტიკული ღია ბარათის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით და მადლობას უხდის მას დიდსულოვნებისათვის, მწერლური სიკეთისათვის და რედაქტორული გულადობისთვის. აგრეთვე ნოველა „ქველის“ დაწერისთვის და მისი ეკრანიზაციისთვის მოკლემეტრაჟიანი ფილმის სახით, სადაც მთავარი მოქმედი პირი გვარად ხაჩიძე არის კიტა ბუაჩიძის პროტოტიპი, რომელიც დაკავებულია საქველმოქმედო საქმით - თავის დანაზოგ ფულს უშურველად ურიგებს მრავალშვილიან ოჯახებს.

ულრმესი პატივისცემით და სიყვარულით თინათინ ბარამიძე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ნომადი ბართაია

რეპორაჟი - 80

„ქართველობა ბედისწერაა“, ამ სათაურით გამოვიდა რეზო მიშველაძის ახალი წიგნი, რითაც კიდევ ერთხელ გაახარა მწერალმა თავისი მრავალრიცხოვანი ქართველი მკითხველი, რომელიც გარეკანისგან იგებს, რომ მისი საყვარელი მწერალი, უკვე კლასიკოსად ქცეული, 80 წლის გამხდარა.

მე რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევდგი ფეხი, რეზო მაშინ დამამთავრებელი კურსის სტუდენტი იყო. იგი, ნიჭიერებითა და ნაყოფიერებით, იმთავითვე იყო გამორჩეული. მახსოვს, როგორ ველოდი სტუდენტები უნივერსიტეტის იუმორისტული კვლევის განხორციელებას, რომელსაც რედაქტორობდა იგი. მოყოლებული იქიდან დიდი სიამოვნებით ველოდები სხვადასხვა ჟანრის მისი ყოველი მხატვრული ნაწარმოების თუ ლიტერატურული წერილების გამოჩენას.

როგორც კეთილშობილს რეზო მიშველაძის კლასიკად ქცეული ნოველები, როგორ აზარებებს იგი ერთმანეთში მათში წარსულსა და მომავალს, რეალურსა თუ გამოგონილს. როგორ თან სდევს ყოველ მათგანს მსუბუქი იუმორი და ზოგჯერ ასევე მსუბუქი სევდაც. არსად სარკაზმი, არსად ირონია ან დაცინვა, მხოლოდ თანაგრძობა და სიყვარული გამოიხატება მათგან.

კლასიკა შემთხვევით არ მიხსენებია. მსოფლიო ლიტერატურაში თუ რომელიმე მწერალი კლასიკოსი ნოველისტი, ერთ-ერთი პირველი რეზო მიშველაძეა, რადგან მისი ნოველები აბსოლუტურად აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რასაც მწერლობის ამ ჟანრს უყენებს მკითხველი.

დაიხს, მსოფლიო მწერლობაში განა ცოტაა მაგალითი იმისა, რომ ერთსა და იმავე ნაწარმოებს ზოგი ნოველს უწოდებს, ზოგი მოთხრობას, ზოგი ჩანახატს... რეზო მიშველაძის ნოველს კი ვერაფერს სხვა რამეს ვერ მოუძებნის სახელს, გარდა ნოველისა.

რეზო მიშველაძის ნოველებში მის მშობლიურ ქუთაისელებს მაინც განსხვავებული ადგილი უჭირავს, თავისი დამახასიათებელი ქუთაისელობით, იმერლობით, საერთო ქართველობით და, ამავე დროს, ზოგადადამიანურობით. რა კარგად იცნობს იგი მათ ხასიათს. როგორ უყვარს ისინი, როგორ გამოაფენს მათ შინაგან სამყაროს და ყველასათვის მოსაფერებელს ხდის.

რა უნდა დაენერა ვინმეს ისეთი, რომ დები იშხნელები კიდევ უფრო შეგყვარებოდა. აქამდე თუ ამ იადონებს მლოლოდ მათი წვიმასავით შეწყობილი ხმებით ვიცნობდი, ნოველიდან - „დები იშხნელები“ - მათი ადამიანური მხარეები გავიცანი, გავიცანი მათი მშობლები, ქართული პატიოსნებითა და ზნეობით სავსე მათი ოჯახი - მამა, რომელიც დარჯობს თავის შვილებს, „ბავშვები არ გამინუნკონო“ და ნებას არ აძლევს მადლიერ მსმენელს, ფული რომ აჩუქოს მათ.

როგორ დამაჯერებლად და მწერლური ოსტატობით გადმოსცემს ანდა იგი სტალინთან დების შეხვედრას, როგორ არის დახატული ბელადის სახე და გადმოცემული ის შიში, რომელიც იყო დასაფრთხილებელი მაშინ ქვეყანაში.

ან როგორა აქვს დახატული მწერალს ქუთაისელი კოლორიტის „ძველი ბიჭის“ ვალერიან შალვაშვილის სახე. კაცი, რომელმაც ზეპირად იცოდა თეატრის ყველა რეპერტუარი და ერთ-ერთ სპექტაკლზე, მსახიობის გამოუცხადებლობის გამო, როგორ ათამაშეს, თანაც სუფლიორის გარეშე და ამით, ამ „უსაქმურმა კაცმა“, როგორ გადაარჩინა იმ დღეს თეატრი ჩავარდნას. შემდეგ როგორ დააბრალეს რაღაცები „ამ მოსიარულე თეატრს“, როგორ ატყინეს გული და შეუღახეს ღირსება და თავი ამართლებინეს ამ პატიოსნებით სავსე ღირსეულ კაცს.

ანდა ნახეთ, რა დღეშია ჩავარდნილი ჩვენთვის ყველასთვის მაცოცრად საყვარელი მსახიობი დიდი ეროსი მანჯგალაძე, ნოველიდან „ეროსი და პარტიზორი“, რომელიც თურმე პარტიზორის მდივანია თეატრში.

ეს ის დროა, როცა უკვე ფორმალბაში იყო გადასული ყველაფერი საბჭოთა სისტემაში. გეგმიურ შემონეშებაზე მისული კორესპონდენტისგან როგორ იძვრენს იგი თავს:

„შენ აგამანა ღმერთმა, რატომ თავიდან არ მიტხარი. რამდენი ხანია გეგმიურ შემონეშებას ვითხოვ. ყოჩაღ, შენ... ასე ახალგაზრდა კაცს რამდენისთვის მიგიღწევია, რაიკომი... რაიკომი... რა ძვირფასი რამეა.“

მერე, როცა, ასე ვთქვათ, გაუშინაურდება, გამოუტყდება იგი მას: „ხოვ, ახლა ჩემი მთავარი სათხოვარი უნდა ვითხრა, - თეატრის კარებისკენ მიხედვა, არაფერ გვისმენდესო, - შენა ხარ ახლა ჩემი პატრონი, შენ უნდა მიშველო. ორი წელიწადია ნამოსვლა მინდა პარტიზორიდან და არ მეშვებიან ეს ჩემი „გათახსრებული“ ძმაკაცები. არტისტებზე ვერაფერს ხალხი არი სადმე? ყოველ წელიწადს ზარზემით მირჩევენ. არადა, რა ჩემი საქმეა პარტიზორი. დანერე ჩაშლილია მუშაობა-თქო. დანერე ეროსი მანჯგალაძე დაუყოვნებლივ უნდა გავათავისუფლოთ-თქო“...

კორესპონდენტმა, ვერ გაუტეხა ხათრი რესპონდენტს და დაწერა ყველაფერი, როგორც დააროგა მან, მაგრამ, რად გინდა, რაიკომში თავზე გადაახიეს იგი.

„შენაო, ჭკუაზე ცოტა ილაოთ ხომ არა ხარო? ეს რა სისულელები დაგინერიაო. ეგლა გვაკლია ჩვენს უპირველეს თეატრში პარტიული მუშაობა ჩაშლილად გამოვაცხადოთ“ და ორი კვირის თავზე წარმატებული მუშაობისათვის ეროსის მადლობას უცხადებენ.

ან რა დაგავიწყებს ვაზის მცნობელს, კარპე დეისაძეს, ნოველიდან „კარპე“. ჭირისუფალმა რომ ბაღის მჩხოლში ნახა სიკვდილამდე თენახევრით ადრე დაწერილი კარპეს წერილი, სადაც ეწერა, რომ „არავის ვალი არ მიმყობა და არც სხვას აქვს ჩემი ვალი“-ო.

მაგრამ გაირკვა, რომ ასე სრულებით არ ყოფილა. დასაფლავებამდე კარპეს ჭირისუფალს რამდენიმე კაცმა მოუტანა ნისიად წაღებული ვაზის ნერვების ფული. „ბიჭებო, აქ ოთხასოცდაათი ლარია. ნამყენი მქონდა წაღებული, თვის ბოლოს უნდა მეშვებინა, მარა რაღაი ასე მოხდა“... - ეს ერთ-ერთი მეგალის სიტყვებია.

აი, როგორი პატიოსნებითა და ზნეობით არის გამთბარი ეს ნოველა.

ანდა როგორ გადმოსცემს მწერალი ჩვენს უახლოეს წარსულში არსებულ მთელი ინტელექტუალური ტრაგედია სურათს ერთი უმუშევრად დარჩენილი ინტელიგენტის ერთი წინადადებათი ნოველაში - „შომშილი“:

„განსაკუთრებით უარს მაშინ მეუბნებიან, დოქტორი ვარ-მეთქი, რომ ვეტყვი...“

ამ კრებულში თქვენ შეხვედებით ჩვენს სახელოვან მწერლებს, მოღვაწეებს: ოტია იოსელიანს, ჭაბუა ამირჯიბის თუ სხვებს, რომლებთანაც საუბარში ძირითადად ერთ თემას დასტრიალებს მწერალი - ჩვენს დღევანდელ ყოფას, ჩვენს ბედსა და უბედობას.

ჩვენს ბედსა და უბედობას თუ ბედოვლათობას ხეება ნოველა „ტაო, ჩვენი სატკივარი“. მწერალს რამდენიმე გამოჩენილი პირთან ერთად, მოუხერხებია და მოუვლიათურქეთის ტერიტორიაზე უპატრონოდ მიგდებული ჩვენი ისტორიული ძეგლები: ხახული, ოშკი, ბანა, იშხანი, შატბერდი რომლებიც ზოგი მეჩეთად არის გადაკეთებული, ზოგი საწყობად, ზოგი ბოსელად, ზოგი ტუალეტად. „ქართული წარწერებით დახუნძლულ ბევრ ტაძარზე სომხური აბრაგაუკრავთ და აწერია: სომხური კულტურის ძეგლიაო. თურქს ქართული ასოები დავანახე და აუფხენი, სომხებს ამ ძეგლთან არავითარი კავშირი არა აქვთ-მეთქი. ჩამოგლიჯა სომხური აბრა და მოისროლა. თუ თქვენ, გურჯებისაა, რატომ არავინ მოდის, არ პატრონობს, აქ სულ სომხები მოდიანო“...

ექსპედიციის წევრებიდან რეზო მიშველაძეს და რეზო ჩხეიძეს, უკან დაბრუნებისას, ართვინის ვილაიათის მერთან მოუხერხებიათ შესვლა და როგორც ქართველთა მსოფლიო კონგრესის ხელმძღვანელებს, უთხოვიათ ართვინში ქართული წერა-კითხვი შემსწავლელი საკვირაო სკოლის გახსნა. მოუხერხებიათ შევარდნაძისა და დემირელის შორის არსებული შეთანხმება, რომლის

საფუძველზე საქართველოში უკვე გახსნილია დემირელის სახელობის თურქული კოლეჯი და იქნებ თქვენც გაგეხსნათ ქართული საკვირაო სკოლაო, რაზედაც, საბოლოოდ, თანხმობაც მიუღიათ იმ პირობით, რომ ამის შესახებ საქართველოდან გამოავაზავნიდნენ მოთხოვნას.

გახარებულები გამოსულან ვილაიათის გუბერნატორის კაბინეტიდან ორივენი და რაც გულის მომკვლელია, საქართველოში, როგორც პრეზიდენტ შევარდნაძის, ისე სხვა ადმინისტრაციიდან, სრული დემილით უპასუხნიათ ამ საქმისთვის.

ვრცელია რეზო მიშველაძის გმირების გეოგრაფიული არეალი. მწერალი ხან ოპიოს შტატის უკიდურეს დასავლეთში ატოტის მთებში მდებარე ინდიელთა პატარა სოფელში ამოგაყოფინებს თავს, ხან ელისეს მინდვრების ბოლო გადასახვევით, მარჯვნივ მდებარე „სან-მიშელის“ პატარა სკვერში, ხან რომის სენატში, ხან ბულგარეთში გამართულ იუმორის ფესტივალზე, ხან შუალამე წალენჯიხის მთებში გაბორი-ალბეს, ხან მოსკოვში, ხან ბაქოში, ხან თურქეთში... ვის და ვისთან შეხვედრების, ასე ვთქვათ, მონმედ არ გაგხდის.

არა აქვს მნიშვნელობა რა უდევს საფუძველად რეზო მიშველაძის ნოველებს - ნამდვილი თუ გამოგონილი ამბავი, მწერალი ყველგან დამაჯერებლად უხსნის გულს მკითხველს.

მაგალითად, ისე დამაჯერებლად ხატავს მწერალი ნოველაში „მერი და გალაკტიონი“ პარიზში გალაკტიონისა და მერის არ არსებული შეხვედრის სურათს, მადლობას წირავ უფალს, რომ მოგეცა საშუალება, დასწრებოდი ამ შეხვედრას და მოგესმინა მათი საუბრისთვის.

ანდა როგორ აღწერს მწერალი ინდონეზიის ერთ-ერთი ვულკანისპირა სოფლის ბინადართა ცხოვრებას, მხედველობაში გვაქვს ნოველა - „ფულკანი ბრომო“.

არავინ იცის, როდის გადაფარავს და შთანთქმავს იქაურობას ვულკანი. ამის ნიშნებიც გამოჩნდა - სოფელი დილით ვულკანის ფერფლით გადათეთრებული იხილეს ადგილობრივებმა, რაც ავის მომასწავებელი ნიშანი იყო.

ამ ამბავმა მაშინვე გააღწია სოფლიდან და დაუყოვნებლივ, ცალკე კბილებალესილი ავაზაკები შემოდიან მანდ და ცალკე მაიმუნების ჯოგი მოლენავს ყველაფერს მისკენ, რომ რაც შეიძლება ყველამ, ადამიანები იქნებიან ისინი თუ მათი წინაპრები, ერთნაირად მოითხოვს ხელი სოფლის დაცარიელებით, რადგან ყველანი ერთნაირად არიან დარწმუნებულნი, რომ იქაურობა დაიცლება და მათ დარჩებათ ბურთი და მოედანი, მაგრამ ყველას ჩაუფარდება კოვზი ნაცარში, არავინ არ იცვლის ფეხს ადგილიდან.

ამ დროს კი რა ხდება ჩვენთან. რა უკან მოუხედავად გარბიან და ტოვებენ საკუთარ სახლ-კარს ჩვენი თანამემამულენი, უკეთესი ცხოვრების საძიებლად.

აი, რისთვის დაინერა ეს ნოველა.

ანდა როგორ არის აღწერილი 2015 წლის 13 ივნისის თბილისის თავსდატეხილი სტიქიის საშინელი სურათი ნოველაში „სტიქია“, რომელმაც ზოიპარკის ბინადარნი: დათვი, ირემი და მგელი შემთხვევით ერთ ქოხში შეჰყარა ერთმანეთს. საერთო გაჭირვებამ დაავიწყა მათ ურთიერთ მტრობა, რომლებიც ერთად იბრძვიან სიცოცხლის გადასარჩენად.

„მოქალაქენო, გარეთ გამოსვლას მოერიდეთ, ქუჩაში მხეცები დადიან“ ნამდაუნუმ აცხადებს გარეთ რადიო.

სტიქიას გადარჩენილ ცხოველებს, ქოხში მიაგნებენ და ავტომატის ჯვრით ჩახოცავენ.

რა სითბო დააღვრევინა ზოიპარკის ბინადართ ერთმანეთისადმი მწერალმა და რა თანაუგრძობით განაწყობა მათ მიმართ მკითხველი.

კრებულში ოთხი დრამატურგიული ნაწარმოებია შესული: „ქართველობა ბედისწერაა“, „ვეფხისტყაოსანი“, „გალაკტიონი“ და „არ შემეშინდე“, რომელთაგან პირველი დაწერილია - ორი მსახიობის, ხოლო დანარჩენი პანტომიმის თეატრისთვის.

რა ჟანრშიც არ უნდა წერდეს რეზო მიშველაძე - ნოველა იქნება ეს, რომანი, მოთხრობა, ჩანახატი, დრამატურგია... ყველგან მისი ნიჭიერება და მწერლური ოსტატობა ჩანს. რეზო მიშველაძე ის მწერალია, რომელსაც თავისი ენობრივი ქსოვილითა და სიტყვათქმნადობით, ადვილად გამოარჩევს სხვათაგან.

დაიხ, იუმორით არის გამთბარი რეზო მიშველაძის შემოქმედება, იმ იუმორით, რომელიც, როგორც მარკ ტვენის ამბობს - ყველაზე დიდი მონაპოვარია კაცობრიობის.

რამდენი რამის თქმა შეიძლება ოთხას გვერდიან ამ კრებულში შესულ სიყვარულით გამთბარ თითოეულ ნაწარმოებზე, მაგრამ ამ მცირე მოცულობის წერილში ამით შემოვიფარგლებით.

ოთხმოცი წლის რეზო მიშველაძე სრულ ფორმაშია. იგი ახალგაზრდული შემართებით იღწვის, როგორც შემოქმედებით, ისე საზოგადოებრივ სარბიელზე.

წლებს მისთვის მხოლოდ ცოდნა და გამოცდილება მოაქვს. ვულოცავ ჩემს მეგობარს სახელოვან თარიღს და ვუსურვებ ასე ხელხვაიანად შეხვედროდეს იგი მომავალ საიუბილეო თარიღებს.

დაბოლოს:

რეზო მიშველაძეს

კი არ ბერდება, ღვინოსავით ძველდება იგი.

ნოდარ კობერიძე

რეპორაჟი - 80 წელი

მომავალი წელი, მისი პირველივე დღე, ქართული მწერლობის კლასიკოსის დაბადების დღით იწყება. თანაც როგორი თარიღით, მას საიუბილეო ოთხმოცი წელი უსრულდება. მთელი ეს ოთხმოცი წელი ბედთან ჭიდილში გაატარა მან. რას არ შეხვდა, როგორ არ გასწირა ბედმა-მღვარმა, მაინც გაუძლო, გაუძლო და ეს რაინდად შობილი კაცი თავის ერის სამსახურში მუხლჩაუხრელად მის სადარაჯოზე იდგა. მთელი მისი ზღვა შემოქმედება საქართველოს სიყვარულით არის გაჯერებული. ხშირად თვალცრემლიანი, მაგრამ მაინც მედგარი წერს სამშობლოს გავერანებაზე, იქ ჩაბუდებულ ბოლმა ლაღატზე, მაგრამ მკითხველი ხვდება, რომ ეს ყოველივე მისი განუზომელი სამშობლოს სიყვარულით არის გაჯერებული. ის მსუბუქი იუმორი, ღრმა ფსიქოლოგიზმი, ხშირად დიდი ამერიკელი მწერლის ო შენრის ნოველებს გაგონებს კაცს. მათი ნოველები ერთგვარი სიმბიოზია და უნისონში მოდის თავიანთი ქვეყნის უზომო სიყვარულთან. დილისტატია რევზო მიშველაძე და მისი შემოქმედება ესა ერთი დიდი ვულკანის კრატერია, რომელიც მარად დღულს და იფრქვევა მისი რომანების, მოთხრობების თუ პუბლიცისტიკის, ნამკითხველს თავბრუ გეხვევა, თვალს ვერ მოსწყვეტ და ბოლოს როს ჩაათავებ იტყვი, მადლობა, უფალო, რომ მომეცი საშუალება გავცნობოდი ამ მწერლის შემოქმედებასო და ტაშსაც შემოკრავ.

პიროვნებაც რომ ასეთია, მოსიყვარულე, გულისხმიერი, დიდებული მასპინძელი, მეზობელი. მისმა უზარმაზარმა ინტელექტმა გადაარჩინა ვეფხისტყაოსანი, რომელსაც ბედკრული ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენელი კომისია ლამის იყოს სრულად უპირებდა დანაწევრებას. დღესაც მხნედ არის მრავალჭირგამოვლილი მწერალი და უფალსა ვთხოვ, კიდევ დიდხანს არონიოს იმ მიწაზე, რომელსაც მთელი თავისი კოლოსალური ენერგია შესწირა! მაშ, გამარჯვებით, უზაკველო მწერალო, მაშ, გამარჯვებით! გილოცავ!



სუმან პოქრელი

ნეპალელი პოეტი, მრავალი პრემიის და ჯილდოს მფლობელი.

ტაჯ მაჰალი და ჩიმი სიყვარული

მახსოვს ის წლები სიყვარულის და აღმაფრენის, როგორც ზღაპარი, გული - ოცნების თავშესაფარი.

და როგორც ცვარი შვენის მიმოზებს, მეც მოვიხდინე სატრფოს სახე მკერდის ტილოზე.

ვდგავარ და ვუმზერ, მზეს ეხლება დღეს ტაჯ მაჰალი, სიყვარულივით ასე წმინდა, ასე მაღალი.

და მარმარილოს ეხეთქება ქარები ვნებად

და გულის ფეთქვა განიბნევა მუსიკის ხმებად,

აქ სიყვარულით იწყებს თრთოლვას სულით ეულით,

აქ არის განცდა შეუცნობი, სიზმარეული.

დაღვინდა გრძნობა, რა ყოფილა თავდავინყება და როგორც ნავი ჩემს ფეხებთან მიწა ირწყვება.

მე შაჰ ჯაჰანზე ვფიქრობ ახლა, მე ან მუმტაჯი, უიმედობით დამელია სულელს ილაჯი.

კარგად იცოდა შაჰ ჯაჰანმა, რომ მეფობს ჟამი, რომ ყველა გული ტრფობით სავსე ერთ დროს ბერდება,

რომ ყველა ურდულს, გავა დრო და ედება ჟანგი, გავა დრო, თავად იმპერიაც გაცამტვერდება.

სიყვარულია ქვეყნად მხოლოდ მარადიული, ყველაზე დიდი სამოთხეა ტრფობის ზღაპარი და შაჰ ჯაჰანმა სიყვარული აქცია ლოცვად ტაძრად აქცია მშვენიერი სატრფოს საფლავი.

მეც მიწა ვიყო შაჰ ჯაჰანის დარად ღიადი, მტერთა უშიში, უძლეველი, ტრფობით ძლეული, ოღონდ არ მიწა, რომ აკლდამა ვაქციო ტაძრად, მსურს, სიცოცხლეში განვადიდო ჩემი რჩეული.

ბრძანება

ცხადია, გესმის ბრძანებები, თქმული ზემოდან, როცა ხარ დაბლა, თუნდაც ერთი მტკაველით დაბლა... ნუ წახვალ მარჯვნივ, ნუ წახვალ მარცხნივ, იარაღს ხელი არ ახლო და წადი, იომე. დასაძინებლად ადრე დანეჭი, გვიანობამდე იმუშავე მუხლჩაუხრელად, კარ-ფანჯარა დატოვე ღია და კარი მაგრად გამოიკეტე. არც წყვილად იარო და არც კენტად. იძინე მშვიდად და სახლი კარგად დაიცავი,

არ დარჩე მშვიერი, პირი არაფერს დააკარო, არ ჩაიცვა ტანსაცმელი და არ იარო შიშველმა. ვერ გამიგია, რად არ ემორჩილებიან ბრძანებებს ხელოვანები?

თარგმნა მაყვალა გონაშვილი

მეგობრობა გზად და სიღალ

ნოემბერში საქართველოს მწერალთა კავშირის ისრაელიდან ძვირფასი სტუმრები ეწვივნენ: „გულთა კავშირის“ პრეზიდენტი რობერტ აჯიაშვილი და კავშირის წევრები ნუგზარ ჯანაშვილი და იაკობ აჯიაშვილი.

მეგობრობას, სიყვარულსა და მონატრებას მიზეზი არ უნდა, მაგრამ ეს დღეები იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ორი წიგნი - ნოდარ კობერიძის „ათი დღე რობერტ ადართან“ და ნუგზარ ჯანაშვილის ლექსთა კრებული „ოცი წლის შემდეგ“, დაბეჭდა გამომცემლობა „მერანმა“.

„საქართველო! განა რა ხიბლი, რა მაგია აქვს ამ სიტყვას? რა ანდამატი ასხივებს ულამაზესი შრიფტით განყოფილ ასოთა ამ ბმულიდან, ორი ათეული წლის მერეც აქორჩილ ტალღებად რომ ეხლება ხისფესვებივით დაკორძილ ძარღვებს და ჰა, წაგლეკოს ლამის...“

შენ გიტოვებ, ეს ქვეყანა შენია, მე სტუმარი ვიყავი და... მივალ, მაგრამ, კარგო, თუკი რამე გტკენია, მეც ისევე, მეც შენსავით მტკივა.

ხომ უთხარი ერთხელ. ხომ მოეფერე, ხომ დაემშვიდობე, ხომ... ხომ... ხომ...

მაშ, ეს რაღა? დღემდე რომ უსმენ და არათუ უსმენ, მაჯის და გულისცემას მისას ისევე აყურადებ, როგორც წლების წინ და იგიც საპასუხოდ, მზრუნველი და მომლოდინე დედასავით, მუდმივად შენთანაა, როგორც ჰაერი, როგორც სუნთქვა, დროში გაბჭობილი და მოურჩენელი ტკივილივით.

რა არის ეს, რა ფენომენია?“ - კითხულობს ნუგზარ ჯანაშვილი და თავადვე პასუხობს:

„ყველაფერი, რასაც ცხოვრება და მისგან მოგვრილი სიამე ჰქვია - ბავშვობის დაუსრულებელი ზეიმები, სიჭაბუკის სილამაზე, სტუდენტობის განუმეორებელი ხანა, იქ დარჩენილ ხსოვნის ალბომებში, ბედნიერ და გაღიმებულ სახეებად. ყოველივე განსაცდელიც იქ განცდილა და ყოველივე განსაცდელიც იქ გადატანილა, თვალის იქ ახელილა და სამყაროც იქ შეცნობილა თავისი პირველადმოჩენებით, ზურგჩანთამოკიდებული ღრე-კლდე ხეტიალითა თუ ხმაურიანი პიკნიკებით, „დანახული თეთრი კავკასიონით“ თუ მდინარეთა სათავეების ძიებით, პირველი კოცნით თუ პირველი სიყვარულით“.

ამ სიყვარულის პასუხი იყო 18 ნოემბერს ნუგზარ ჯანაშვილის მშობლიურ ქალაქში, გორში, მწერალთა სახლში ჩატარებული პოეზიის საღამო და პრეზენტაცია წიგნისა „ოცი წლის შემდეგ“. გორს რობერტ ადართან, ნუგზარ ჯანაშვილთან და იაკობ აჯიაშვილთან ერთად ლეგენდარული კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი და მწერალთა დელეგაცია ესტუმრა: მაყვალა გონაშვილი, ბალათერ არაბული, ზაალ ბოტკოველი, ბადრი ქუთათელაძე და ნაირა მარშანია. საღამო გახსნა მწერალთა სახლის დირექტორმა მარინე ჯალიაშვილმა, საღამოს უძღვებოდა მწერალი და მსახიობი ნოდარ მდინარიძე. სიტყვით გამოვიდნენ: მაყვალა გონაშვილი, ბალათერ არაბული, გორის უნივერსიტე-

ტის რექტორი გიორგი სოსიაშვილი, პროფესორი, ისტორიკოსი ელდარ მამისთვალიშვილი, პოეტი ჯემალ ინჯია და სხვები.

19 ნოემბერს კი მწერალთა კავშირმა თბილისის მწერალთა სახლში „გულთა კავშირის“ პრეზიდენტს რობერტ ადარს უმასპინძლა. სწორედ რობერტ ადარის ღვანლსა და სტუმართმოყვარეობას ეძღვნება ნოდარ კობერიძის წიგნი „ათი დღე რობერტ ადართან“. როგორც წიგნის ავტორი წერს: „ეს წიგნი არაჩვეულებრივ კაცზეა, დიახაც, არაჩვეულებრივზე და მას რობერტ ადარი ჰქვია. მისი ცხოვრება, მართლაც რომ გამორჩეულია. მისი ცხოვრების ძირითად ანის და ჰოეს რომ გაეცნობით, არც ებრაელობისთვის გეთმობა ქართველს და არც ქართველობისთვის გეთმობა ებრაელს. იგი ერთგვარად ორსახოვან იანუხს გაგონებს, სადაც ორივე ქართველისა და ებრაელის სრული სიმბიოზია - საუკეთესო თვისებათა ჯამით. წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და კონოფირივით გიჩვენებს ამ ვაჟკაცის ცხოვრების არსს, რომლის კითხვისას მისი ცხოვრების ლამის თანამონაწილე ხდები და გულშემატკივრობ კიდევ“. რობერტ ადარის ცხოვრების კრედიო მისსავე ლექსში ასეა გამოხატული:

მე თქვენ სიყვარულს ლექსებში ვძერწავ და თქვენს გულებში ლექსად მოვედი.

რობერტ ადარს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს მაყვალა გონაშვილმა, ბალათერ არაბულმა, ბადრი ქუთათელაძემ, ზაალ ბოტკოველმა და სხვებმა.

საქართველოს რჩეულ სტუმრებს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ჯილდოები გადაეცათ: რობერტ ადარს - დიპლომი



„მშვიდობის ვარსკვლავი“, ხოლო ნუგზარ აჯიაშვილს - აკაკი წერეთლის პრემია.

ეს კიდევ ერთი დაუფინყარი დღეა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიაში.

მანანა გორგიშვილი

განცხადება

მადლობას მოვასხენებ ყველა იმ სახელოვნებო უწყებას და პიროვნებას, რომლებმაც შემომთავაზეს ჩემი 80 წლის იუბილის ჩატარება ოპერის თეატრში, მაგრამ ვფიქრობ, მორალური უფლება არა მაქვს იუბილის გამართვისა იმ ვითარებაში, როცა საქართველოს ხელისუფლება ჯიუტად არ უბრუნებს ქართველ მწერლებს სააკაშვილის მიერ წარმართულ ტრიბუნას - მწერალთა კუთვნილ შენობას (მაჩაბლის 13).

კიდევ ერთი მთავარი მიზეზი: მე ვინ ოხერი ვარ, როცა 2017 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ვინმე გიორგი კვიციანი-მჭედის მწიგნობრობის კარნახით უარი თქვა შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის აღნიშვნაზე. სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ფიქრია ბროლაშვილი

პაატა იოსებაშვილს და გიზო ზარნაძეს

ქართველთა და ებრაელებს ძმობის ნიშნად, „მეგობრობის ხეივანი“ - გააშენეს, სიკეთე და სიყვარული გადეს ხიდად, ისრაელში გამოზრდილი ზეთის ხილით დაამშვენეს.

გაამყარეს მეგობრობა, მათი ღვაწლი უნდა იქცას, ბატონ პაატას და გიზოს სამადლობელს ვეტყვი სიტყვას. სიკეთე და სიხარული არ გქონოდეთ წამიერი, იხარეთ და იღვგრძელებით, გქონდეთ მრავალუამიერი.

საკვირბო

ქალბატონი ციცილო ბოჭორიშვილი, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირთან არავითარი შეხების ნერტილი არა აქვს, მიუხედავად ჩვენი არაერთგზისი გაფრთხილებისა, კვლავ განაგრძობს მწერალთათვის სახალხო პოეტის ნოდებისა და ილია ჭავჭავაძის პრემიების თვითნებურ მინიჭებას.

უფრო სავალალო ის არის, რომ ვისაც ვინმე ციცილო ბოჭორიშვილი იმადლიერებს, ამაყად თავადი-რილინს დგანან და ამ ცრუ პრემიებს და ნოდებს „ღირსეულად“ იღებენ.

საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ თუ ქალბატონმა ციცილო ბოჭორიშვილმა არ შეწყვიტა მწერალთა კავშირის შეურაცხყოფელი ეს საქმიანობა, იძულებული ვაგვხდებით მივმართოთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ციცილო ბოჭორიშვილის ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრი

დავით რობაქიძე

სიმაართლე

ვეზშიანები დიდებულ ქართველს, მეგობარს, თანამოზიარეს, პროფესორს ჯემალ ნაჭყებიას.

შენ გამორიცხავ ქართველი ქართველს მტრობდეს, სძულდეს და არა ჰყვაროდეს! თუ პირად გითხარ მართლად სათქმელი ამით მსურს შენი საქმე ჰხარობდეს! არა ძმობილო, სულ სხვაა საქმე... შეგეხიდე, ტვირთის აგინე, მტრობა რას გვარგებს, სიკეთის ქმნაში-მეტოქეობას ნამდვილ გაგინე! აბა განსაჯეთ რაც მოგახსენეთ, მტრობა სულ სხვაა ჩემო კარგებო, მეტოქეობა იმად ვახსენე-ყურად ილოთ და თან საგანგებოდ... ფხიზელი თვალთ მამულს უყუროთ, ერიც თვისსა თავს სცნობდეს და ჰგავდეს, სიკეთეს ვაგლახ არ გაეხუმროთ სიმაართლის თესვით მეტოქე გაყავდეს!

გიგა გორგიშელი

მოხაზეს სამყარო სათნო თუ უხეში, დადიან ისევ მოხატულ კედლებთან. ოთხ კედელს შორის ქალაქი ხვდებით, კედელთან ისმის ფარული ვედრება. მოხატეს სამყარო სათნო თუ უხეში, დღეებიც თითქოს ციხეში თენდება, ამ კედლებს შორის, ნამდვილ წუმპეში, თავისუფლების ჰანგი ფეთქდება.

ნინო უძილაური

ქართულ-ებრაული მეგობრობა

(ედლებს პაატა იოსებაშვილს)

ნიჭი გადმოდინდა სიყვარულის, სიკეთე საზღვრებს გადასცილდა, მეგობარს გინოდებთ და ისიც იცი, როგორ გვიმეგობრო ან რა გვინდა.

ნიჭი სიყვარულის მადლად დაგდევს, გული სიკეთის გზად გაგიღია, ერთი სამშობლოდან მეორეში, ხიდი უკვდავების გაგიღია.

გულში სანთლად ანთებ ჩვენს დიდ ძმობას,

გინდა გამოძინო მარადისი, ქართულ ებრაული მეგობრობა, ქართველ ებრაელმა მარად იცი.

ია ეკელი

დეკემბრის ვუყურებ ფანტელს, გიორისფერ დალაღზე მადნება... სანამდე ამ სიტყვებს დაწერდე, მზის სხივი მიდგება თავდება! მერე კი იქნება აპრილი, იქამდე, იებთან შეხვედრა... ყოველი წამია დათვლილი, მე „ლაჰილს“, ქარი რას შემბედავს! მერე კი...

პატივცემულ ბატონ იაკობ პაპიაშვილს

გივთის ქ. 3/7
ბათ იამი 59589

ცნობა მორალური მოვალეობის აღსრულებისათვის
29.10.2019

ქვემოთ აღნიშნული პოპულარული გამოცემები რეგისტრირებულია ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გარდამავალ თვეში როგორც მოითხოვს კანონი.

ჩვენ მადლობელი ვართ თქვენი გზავნილის გადმოცემისათვის მორალური მოვალეობის აღსრულების მიზნით და სათნო საქციელისათვის კულტურის სფეროში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც აღმოჩნდება ჩვენს ხელში თქვენი ახალი გამოქვეყნებული ნიგნები და მოულოდნელად განგაცვიფრებთ სიურპრიზით.

თქვენი ნიგნები მიღებულია ჩვენს ბიბლიოთეკაში, ჩანერილია ნაციონალური ბიბლიოთეკის კატალოგში და აგრეთვე სპეციალურ კატალოგში ისრაელის სახელმწიფოს ყველა ბიბლიოთეკისათვის.

თქვენი ნიგნები ყურადღებით იქნება შესწავლილი გადასაცემად ყველა მკითხველისათვის მსოფლიოს მასშტაბით და აგრეთვე დაცული იქნება მომავალი თაობებისათვის. მიეცემა მათ სპეციალური ადგილი კატალოგში მომავალი კვლევებისათვის ნაციონალური ბიბლიოთეკის სფეროში: ჰტტპ://წწწ.წწწ.წწწ.წწწ

კოდის ნომერი	ნიგნის სახელწოდება	ავტორი	გამოცემის წელი
1. 5557879	„საქართველოს მაღალმთიანეთის სინაგოგა და დიდი მეცენატი“	პაპიაშვილი იაკობი	2019
2. 5557883	„იერუსალიმი-თბილისი: ნოველები“	მიშველაძე რევაზი	2016

გმადლობთ და პატივისცემით,
მორალური მოვალეობის შეკვეთის განყოფილება
ისრაელის ნაციონალური ბიბლიოთეკა
იერუსალიმი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე
გიორგი ხაზარაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოეტ ოთარ მამფორიას მეუღლე
მანანა ოქელაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარი ბიბლიოგრაფი
თამარ (დოლო) ჩიკვაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოეტ თემურ ცერცვაძის მამა
ნოდარ ცაიცივაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

